დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #20 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ხათუნა ბარაბაძე

წევრები:

1. ნინო მიდელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
2. ნინო გოგორელიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
3. მედიკო ჯიქია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
4. ინგა გოგოლაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
5. ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
6. ნათია გაგნიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
7. ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
8. ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
9. ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

10. მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის # 20 საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**203853829**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქ. თბილისი**
იურიდიული მისამართი	**ქ.თბილისი ჯამბულის ქუჩა #5**
ფაქტობრივი მისამართი	**ქ.თბილისი ჯამბულის ქუჩა #5 ; მარი ბროსეს ქუჩა #8**
საფოსტო ინდექსი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**Skolebi.emis.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**Tbilisi20@mes.gov.ge**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**2 98 34 21** **2 99 03 38** **2 99 96 88**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	განათლების ხარისხის განვითაების ეროვნული ცენტრის 14.08.2023 წლის ბრძანება MES 9 23 0000990524
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	02-03 ოქტომბერი 2023 წ

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

				ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური**	**ქართული ენა**	**ქ.თბილისი მარი ბროსეს ქუჩა #8 ;**
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საბაზო საგანმანათლებლო საფეხური**	**ქართული ენა**	**ქ.თბილისი ჯამბულის ქუჩა #5 ; ქ.თბილისი მარი ბროსეს ქუჩა #8 ;**
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საშუალო საგანმანათლებლო საფეხური**	**ქართული ენა**	**ქ.თბილისი ჯამბულის ქუჩა #5 ;**

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 2 და 3 ოქტომბერს , **სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის # 20** საჯარო სკოლაში, განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი.

ვიზიტის მიზანი იყო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა 11 ექსპერტით, მათ შორის 2 ზოგადი განათლების ხარისხის და 9 საგნობრივი ჯგუფის ექსპერტით. ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე ექსპერტთ ჯგუფი ორჯერ შეიკრიბა. განისაზღვრა ვიზიტის დღის წესრიგი და იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც ვიზიტამდე უნდა წარმოედგინა სკოლას, რათა ექსპერტთა ჯგუფს შეძლებოდა ხარისხიანად და ეფექტურად განეხორციელებინა საქმიანობა. დოკუმენტაციის ჩამონათვალი გადაეგზავნა **სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის # 20** საჯარო სკოლას, რომელმაც თავის მხრივ უმოკლეს ვადაში მოგვაწოდა მოთხოვნილი მასალა.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფისა) დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.

ვიზიტის პერიოდში საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ კათედრის წარმომადგენლებს. მათ, წინასწარ შემუშავებული (სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალის დამუშავების შდეგად) კითხვების მეშვეობით, სრულად მიიღეს ინფორმაცია კათედრების საქმიანობის შესახებ.

ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტების მიერ ადგილზე განხორციელდა შენობის ვიზუალური დათვალიერება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება. კერძოდ: სკოლის დირექტორთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებთან, საქმისმწარმოებელთან, სკოლის ბიბლიოთეკართან, მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორთან, სკოლის ექიმთან, სპეც. მასწავლებლებთან და სხვა პირებთან. ინტერვიუ შედგა ასევე სკოლის რამდენიმე მასწავლებლთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლა ახორციელებს გერმანულის გაძლიერებულ პროგრამას, რის გამოც 2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 140/ნ ბრძანრებით მიენიჭა გერმანული ენის გაძლიერებული სკოლის სტატუსი.
აღნიშნული პროგრამა ხორციელდება ორ ქვეყანას (საქართველო - გერმანია) შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში. სკოლის მოსწავლეები მე-9 კლასის ბოლოს აბარებენ გამოცდას და წარმატებით ჩაბარების შედეგად იღებენ DSD 1 სერტიფიკატს, ხოლო მე-11 კლასის ბოლოს აბარებენ გამოცდას და წარმატებით ჩაბარების შედეგად იღებენ უვადო DSD 2 დონის სერტიფიკატს, რომელიც მათ საშუალებას აძლევს გერმანიის ნებისმიერ სასწავლო დაწესებულებაში გააგრძელონ სწავლა. სწავლება მიმდინარეობს გერმანული კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც სკოლას 2023-2024 სასწავლო წლისთვის შეთანხმებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
სკოლა წარმატებით ახორციელებს პროფესიული განათლების 2 პროგრამას მე-9, მე-11 კლასებში. კერძოდ: 1. ტანსაცმელის დიზაინი და კონსტრუირება; 2. კომპიუტერული ტექნოლოგიები - საოფისე პროგრამები.
აქტიურად მუშაობს ეკო კლუბი, რომელმც დანიური ორგანიზაციის გარემოს დაცვის ფონდის „ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობა“ დაფინანსებით ახორციელებს პროექტს - გავუფრთხილდეთ გარემოს - ქაღალდის გადამუშავება .

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1500	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** ***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)***
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

სრულ შესაბამისად შეფასდა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

- **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**
- **ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- **ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.**

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N....		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი # 3.4.1.	**3.4.1.სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა** სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის	***შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკურ რეგლამენტთან და სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, სკოლამ შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადებში უზრუნველყოს*** ორივე სასწავლო კორპუსის სახანძრო

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტაცია მითითებულ ხარვეზებთან მიმართებით. კერძოდ:

1. *3.1.1. ინდიკატორი ჩათვალა შესაბამისად;*
2. *3.4.1.1. ინდიკატორი ჩათვალა „მეტწილ“ შესაბამისად, რადგან შესაბამისობის გეგმაში მითითებულია მოგვარების პერიოდი;*
3. *3.5.1.3. ინდიკატორი ჩათვალა შესაბამისად, რადგან სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები ლაბორატორიების პირველ სართულზე გადმოტანის შესახებ.*
4. *სკოლამ გაითვალისწინა ყველა რჩევა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. იკითხება სკოლის იდენტობაც, თუმცა არის ზოგადი და ნაკლებად გაზომვადი. მაგ: სკოლას არ აქვს ნაკვლევი რამდენად შეაქვთ მათ კურსდამთავრებულებს წვლილი ქვეყნის აღმშენებლობაში. სასურველია სკოლის ხედვა გათავისუფლდეს მსგავსი ფრაზებისგან.

სკოლის მისიაა: „აღზარდოს ეროვნული ცნობიერების მოქალაქე, რომელიც შეძლებს ფეხი აუწყოს თანამედროვე გამოწვევებს, ისწავლოს როგორც გერმანიის, ასევე საქართველოს პრესტიჟულ სასწავლებლებში და მიღებული ცოდნით თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის განვითარებასა და წარმატებაში. "სასკოლო საზოგადოება თანხმდება, ჩამოაყალიბოს ერთიანი ხედვა 2023-2024 სასწავლო წლებისთვის. სკოლა გააძლიერებს გაცვლით პროგრამებს გერმანიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სხვადასხვა სკოლასთან, გააფართოებს საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობას, დაგეგმავს და განახორციელებს ერთობლივ პროექტებს, რათა აღზარდოს პასუხისმგებლიანი, კანონმორჩილი, კონკურენტუნარიანი, უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებული მოქალაქეები, რომელთა 50% - ზე მეტი შეძლებს DSD პროგრამის ფარგლებში გერმანული ენის დიპლომის მიღებას. მნიშვნელოვანია, ღირებულებებზე განვითარებაზე ორიენტირებულმა მომავალმა თაობამ მიღებული ცოდნით წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში.

მისია დეკლარირებულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის სხდომაზე (ოქმი #10); მისია ასევე დეკლარირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაშიც.
ინფორმაცია შეგროვდა სხვადასხვა აქტორებს შორის: მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, თემი. SWOT ანალიზის გზით მოხდა შეჯერებული ინფორმაციის გაანალიზება და სტრატეგიული მიზნების შემუშავება, ხოლო სტრატეგიული მიზნების შესრულების უზრუნველსაყოფად, გაიწერა სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს და ხელს უწყობს ოთხი სტრატეგიული პრიორიტეტული მიზნის მიღწევას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;**

   სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია იმაზე, რომ სკოლა აღიქმებოდეს, როგორც საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. ხედვაში გაცხადებულია გერმანული და ევროპული ენების შესწავლა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მსოფლიო ბაზარზე გახდნენ წარმატებულნი. სკოლაში მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების კვლევის შედაგად ფუნქციონირებს კლუბები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებასა და სოციალიზაციას. გერმანული პროგრამის ფარგლებში მოსწავლეები ახორციელებენ მრავალ სოციალურ პროექტს, ეცნობიან გერმანულ კულტურას და საკუთარ კულტურას აცნობენ გერმანელ მოზარდებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურათშორის დიალოგს და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად, 2023 წლის 29 მაისს დირექტორის ბრძანება ბრძანება №1/კ-42 საფუძველზე სკოლამ შექმნა სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი და გაწერა სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვითაც ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტამდე განახორციელა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებაც და დამტკიცებაც. სამუშაო ჯგუფში ჩართულნი იყვნენ როგორც სასკოლო საზოგადოების, ასევე თემის წარმომადგენლებიც.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება განხორციელდა საჭიროებების კვლევისა და ანალიზის საფუძველზე. ინფორმაციის მოსაგროვებლად სკოლამ გამოიყენა მრავალფეროვანი მეთოდი, დაიცვა ტრეანგულაციის პრინციპი, რათა მიეღო სანდო ინფორმაცია: როგორიცაა ანკეტირება, ინტერვიურება, მეორადი მონაცემების დამუშავება და სხვა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

   სტრატეგიული განვითარების ჯგუფში შედიოდნენ სკოლის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. სტატეგიული განვითარების გეგმის შექმნის პროცესი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მიმდინარეობდა. ამდენად ყველა რგოლში მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია. ამისთვის სკოლამ სოციალური ქსელის მეშვეობით შექმნა „მესენჯერ“ ჯგუფები, სადაც მიმდინარეობდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კლასის დამრიგებლებმა გააცნეს მისია, ხედვა და ღირებულებები სკოლის მოსწავლეებს და მათ მშობლებს.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

   სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის გამოქვეყნებული სკოლის ვებ. გვერდზე.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

   საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაღვრულია : სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2015 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება #140/ნ, ზემოაღნიშნულ #448 ბრძანებაში განხორციელდა ცვლილება და სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #20 სკოლას მიენიჭა გერმანული ენის გაძლიერებული სწავლების სტატუსი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შვიდ წლიანი სტრატეგიული გეგმა (დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის სხდომაზე -ოქმი #10);
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
3. შინაგანაწესი;
4. ბრძანება სტრატეგიული განვითარების დაგეგმარების ჯგუფის შექმნაზე (2023 წლის 29 მაისს დირექტორის ბრძანება ბრძანება №1/კ-42);
5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება #140/ნ;
6. ბრძანება N448, 15სექტემბერი 2005 წელი;
7. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;**

   სკოლას აქვს სტრატეგიული განვითრებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 28 ივნისის #7 ოქმის საფუძველზე.
   სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს:
   ✓ ინფრომაციის შეგროვება და ანალიზი;
   ✓ მისიის, ხედვის და მიზნების გადახედვა;
   ✓ სტრატეგიული მიზნების და ამოცანების ფორმირება;
   ✓ სამოქმედო გეგმის შემუშავება;
   ✓ შესრულების მონიტორინგი.
   მეთოდოლოგია ეფუძნება დემინგის ციკლს და მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას სხვადასხვა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (სასწავლო პროცესის მონაწილეთა გამოკითხვა, ინტერვიუ, და სხვა); შეგროვებული ინფორმაციის დამუშავებას SWOT ანალიზის მეთოდის გამოყენებით. დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგსა და შეფასებას, რასაც მოჰყვება გადახედვა და ცვლილებების შეტანა. მეთოდოლოგია სრულად განსაზრვრავს სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საზოგადოების ინტერესების გამოვლენის შესაძლებლობებს და საჭიროებების ანალიზის საფუძველზე ცვლილებების შეტანასა და განახლებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;**

სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #20 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა არის 7 წლიანი და ეფუძნება სკოლის მისიას ხედვასა და ღირებულებებს. პროცესი არის ციკლური. განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, რომელიც დაკვირვებისა და სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის საფუძველზე შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების ჯგუფმა. ყველა მიზანი თავსებადია მისიასთან და მიღწევის გზები გამომდინარეობს მიზნებიდან. სკოლას გააჩნია დაგეგმვის და განხორციელების პრაქტიკა. თითოეულ სტრატეგიულ მიზანთან მიმართებით განსაზღვრულია მოსალოდნელი შედეგი, რისკები და შესაძლებელი პარტნიორები.
სკოლის სტრატეგიული მიზნებია:
სტრატეგიული მიზანი № 1: საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა;
სტრატეგიული მიზანი № 2: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
სტრატეგიული მიზანი №3: მასწავლებელთა მუდმივი პროფესიული ზრდა;
სტრატეგიული მიზანი № 4: არაფორმალური განათლების გაძლიერება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლამ გასული სასწავლო წლის შედეგების გაანალიზებისა და თვითშეფასების საფუძველზე შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში აქცენტირებულია სტრატეგიული განვითარების მიზნების მიღწევაზე: ოპერაციული მენეჯმენტის ელემენტების გარდა, რომელიც არაპირდაპირ უკავშირდება სტრატეგიული მიზნების მიღწევას, გამოკვეთილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და სკოლის ინფრასტრუქტურული, მატერიალურ-ტექნიკური საკითხების მოგვარება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

   სამოქმედო გეგმა სტრუქტურირებულია და ნათლად არის წარმოდგენილი თითოეული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული ამოცანები. ყველა ამოცანა გაწერილია დროში, წარმოდგენილია ე.წ. „დროის ხაზი“ განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი. ვინაიდან თითოეული ამოცანის გასწვრივ განსაზღვრულია შემოწმების ინდიკატორები, სკოლის წინარე გამოცდილების გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ სკოლას მონიტორინგის ამოქმედების პროცესში გაუადვილდება საჭიროებების დადგენა და შესრულების ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზრვრა.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
3. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**

სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #20 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 28 ივნისის #7 ოქმის საფუძველზე.

ამ დოკუმენტის მე-7 პუნქტით განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმარების პროცედურების განხორციელების წესი. გაწერილია ფაზები:

1. ინიცირების ფაზა;
2. მომზადების და განხილვის ფაზა;
3. დამტკიცების ფაზა;
4. გადახედვის ფაზა.

გადახედვის ინიცირება შესაძლებელია ორჯერ. მიმდინარე სტრატეგიული ციკლის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე და გარე თუ შიდა ფაქტორების წარმოჩენის შემთხვევაში, რომელიც გავლენას ახდენს სკოლის განვითარებაზე და საჭიროებს სტრატეგიულ ცვლილებებს.

სტრატეგიული დაგაგმარების მეთოდოლოგიის მეოთზე ფაზა პერსპექტივაში ამოქმედდება. ამ დროისთვის შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლას გააზრებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობა.

ინდიკატორი შესაბამისობასია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**
   სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის კითხვარები, რომლითაც აპირებს მიმდინარე პროცესების შესახებ მოსაზრებების მოგროვებას. ახალი დოკუმენტის შესაბამისად სკოლა მომავალში გეგმავს პროცესების წარმართვას. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში გაწერილი შფასების ინდიკატორების მეშვეობით სკოლა აპირებს შედეგების შეჯამებასა და შეფასებას. ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ სკოლა მომავალში შეძლებს საჭიროებებზე მორგებული სტრატეგიული დაგაგმარების პროცესების განხორციელებას სასკოლო საზოგადოების წევრების უკუკავშირის გათვალისწინებით.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;**
   სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სტრატეგიული განვითარების დაგეგმარების სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯარო იქნება შექმნისთანავე. სტრატეგიული განვითარების დაგეგმარების სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები გაიწერება სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოს ოქმებში; სხდომის შემდეგ ანგარიში განთავსდება საინფორმაციო დაფაზე ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე, აიტვირთება სკოლის ვებგვერდზე. წლის ბოლოს შედეგების პრეზენტაცია გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. გარდა ამისა სკოლა იზრუნებს გეგმით განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა საჯარო გახადოს და მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას. ამისათვის გამოიყენება, როგორც მშობელთა ჩართულობა პროექტების განხორციელებაში, ასევე სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის საშუალებით მოხდება ფართო საზოგადოებისათვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ინფორმაციის მიწოდება.
   სკოლის ვებ. გვერდზე საჯაროობისა და მეტი გამჭვირვალობისთვის ატვირთულია სკოლის განვითარების 2023-2030 წწ სტრატეგიული განვითარებისა და 2023-2024 წწ სამოქმედო გეგმები.
   ყოველივე ზემოთქმულის **გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.**
   2022-2023 სასწავლო წლის შედეგები განხილულია და გაანალიზებულია, ჩატარებული კვლევები სხვადასხვა მიმართულებით, ხოლო შედეგები ასახულია 2023-2030 სტრატეგიული განვითარების გეგმაში. წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგები სასკოლის საქმიანობასთან დაკავშირებით, გამოკვლეულია მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესები, რაც გათვალისწინებულია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.

   ყოველივე ზემოთქმულის **გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანება სტრატეგიული განვითარების დაგეგმარების ჯგუფის შექმნაზე (2023 წლის 29 მაისს დირექტორის ბრძანება ბრძანება №1/კ-42);

2. სტრატეგიული განვითრებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 28 ივნისის #7 ოქმის საფუძველზე.

3. **სკოლის ვებ. გვერდი** skolebi.mes.gov.ge

4.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #20 საჯარო სკოლას სკოლის სტრუქტურა გრაფიკულად აქვს წარმოდგენილი. სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, დირექტორს, ადმინისტრაციას, ბუღალტერსა და საგნობრივ კათედრებსს (სულ 7 საგნობრივი კათედრა ფუნქციონირებს). ადმინისტრაცია შედგება - ტექნიკური პერსონალისა (მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, დარაჯი, დამლაგებელი, მუშა, ცეცხლფარეში) და დირექციის დამხმარე პერსონალისგან (ადმინისტრატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, საინფორმაციო მენეჯერი და ინდ. ასისტენტი). სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები და საქმიანობები მკაფიოდაა განსაზღვრული და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 20.09.2023 წ#№1/კ-88 ბრძანებით. ასევე წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების მონიტორინგის განხორციელების წესი და დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჰყავს ისგ ჯგუფი თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც გაწერილია მათი ფუნქცია მოვალეობები. სკოლას ჰყავს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის საქმიანობაც გაწერილია ჯგუფის დებულებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის 20.09.2023 წ#№1/კ-88 ბრძანებით.
2. 19.09.2023 წ ბრძანება №2-368 - სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ
3. სკოლის სტუქტურა - ორგანიგრამა.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლას დოკუმენტებში ნათლად აქვს წარმოდგენილი თანამშრომლების ფუნქციები და მოვალეობები. თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. სკოლაში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც მხარდამჭერ ფუნქციას ასრულებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გაწერილია სკოლის შიდა ხარისხის განვითარების პოლიტიკა. ინტერვიურებისა და პრაქტიკულად ნანახი პროცესების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებელთა თანამშრომლობის დონე სკოლაში საკმაოდ მაღალია. მათ შორის საგაკვეთილო პროცესში ურთიერთდასწრებასაც აქვს მხარდამჭერი ფუნქცია. სსგ-ს და ისგ-ს შექმნის და მონიტორინგის პროცედურები გაწერილია შექმნის მეთოდოლოგიებში და ყველასთვის ხელმისაწვდომია. ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ შორის ფუნქციების დელეგირება ხელს უწყობს ხარისხიანი სამუშაო პროცესების ორგანიზებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის 20.09.2023 წ #№1/კ-88 ბრძანებით.
2. 19.09.2023 წ ბრძანება №2-368 - სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ
3. თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
4. სკოლის სტრუქტურა;
5. საშტატო გარიგი;
6. შინაგანაწესი.
7. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორიგის წესი, შიდა მონიტორინგის წესის დამტკიცებისა და ჯგუფის შექმნის ბრძანება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

   პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის „შრომის კოდექსისა“ და სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #20 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 7 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი N11.) დამტკიცებული „ადამიანური რესუსრების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის შესაბამისად. ასევე დაწვრილებით არის გაწერილი თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები სკოლის დირექტორის სკოლის დირექტორის 20.09.2023 წ #№1/კ-88 ბრძანებით. -„თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები“.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**
   სკოლაში მოქმედებს პერსონალის შერჩევის წესი, რომელიც უზრუნველყოფს პოზიციის (ვაკანსიის) შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი (როგორც შიდა, ასევე ღია, საჭიროებიდან გამომდინარე) და იქმნება საკონკურსო კომისია. კომისია შეიმუშავებს კონკურსის ჩატარების წესს და საჯარო სივრცეში ცხადდება ვაკანსია. კონკურსი ცხადდება ელექტრონულ პლატფორმაზე (www.teacherjobs.ge) განთავსებით და მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 174/ნ ბრძანების შესაბამისად. პერსონალის შერჩევის წესი გამჭვირვალეა, დაცულია ობიექტურობა, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო მასალებითა და ვაკანსიების გვერდის დათვალიერებით (www. teachers. gov.ge).

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის პერსონალი შერჩეულია გამჭვირვალედ და ობიექტურობის დაცვით. პედაგოგის შესარჩევი კომისია არის მრავალფეროვანი, კერძოდ: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგნელი, საგანმანათლებლო რესურცენტრის წარმომადგენელი, პროფესიული კავშირების წარმომადგენელი, მოწვეული სპეციალისტი, სკოლის წარმომადგენელი. შეჩევის პროცესში უპირატესობა ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრს.

სკოლის დირექტორი უფლებამოსილია ვაკანტური საათების არსებობის შემთხევაში სკოლის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით გამოაცხადოს გარე კონკურსი. დამტკიცებულ წესში დეტალურადაა აღწერილი კონკურსის პირობები, სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალი წარმოდგენილი მასალების შესწავლით შეიძლება დავასკვნათ, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულად პასუხობს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რაც პირადი საქმის გარდა ასახულია eschool-ის ბაზაში. ტექნიკური პერსონალი წარმოადგენს გამოცდილ და კვალიფიციურ კადრს.

აღსანიშნავია გერმანული ენის მოწვეული მასწავლებლის პოზიცია, რომელსაც კანონდარღვევით აქვს 18 საათიანი დატვირთვა. სკოლა ხელმძღვანელობს „უცხოეთში მოღვაწე გერმანელი პედაგოგების კონკურსის წესითა და პირობებით“ , რომელიც განკუთვნილია გერმანიასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე „სადიპლომო სკოლებისთვის“. აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტის თანახმად გერმანიის მხარის მხარდაჭერა მოიცავს კვალიფიციური კადრის წარგზავნას სადიპლომო სკოლებში. ამავე დოკუმენტის „ანაზღაურების“ პუნქტში ვკითხულობთ, რომ : „ყოველთვიური დაფინანსება შედგება გერმანული მხარისა და მასპინძელი მხარის მიერ გაცემული კანონმდებლობით დადგენილი თანხისგან. “ ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მოწვეულ მასწავლებელზე არაუმეტეს 9 საათის ოდენობის დატვირთვას და შესაბამის ანაზღაურებას, ვფიქრობთ გერმანელი მოწვეული მასწავლებლისთვის 18 საათიანი დატვირთვა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ 9 საათის ოდენობას აუნაზღაურებს გერმანული მხარე და არა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ეს საკითხი მოითხოვს დამატებითი განხილვას სამთავრობო დონეზე.

სკოლის არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ზემოაღნიშნული საკითხი დარეგულირებულია საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის 2022 წლის 13 სექტემბერს **გაფორმებული საერთშორისო ხელშეკრულებით „კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ , ხოლო ეს უკანასკნელი კი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 4 აპრილის დადგენილებით. შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად დაკმაყოფილებულად.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #20 საჯარო სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით.

სკოლის ექთანის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 21 მარტის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ მოთხოვნილ პირობებს, თუმცა სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია ექიმის თანამდებობაზეც, თუმცა უშედეგოდ. ვაკანსია დღესაც მოქმედია.

სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებელი, გარდა ერთისა (მოწვეული გერმანული ენის მასწავლებელი) ჩართულია სქემაში. მინიჭებული აქვთ უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლების სტატუსები. თითოეული მათგანი სისტემურად ზრუნავს საკუთარი პროფესიული განვითარებისათვის, რაც გამოიხატება სავალდებულო და ნებაყოფლობითი ტრენინგების გავლით, კომპლექსური დავალებების შექმნითა და სხვადასხვა პროექტში ჩართულობით. პერსონალის პირადი საქმეები ადასტურებს ახალი და მოქმედი კადრების კვალიფიციურობას, სადაც წარმოდგენილია უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, CV, სტატუსის დამასტურებელი სერთიფიკატები, ტრენინგების გავლისა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი ცნობები/სერთიფიკატები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;**

სკოლის განმარტებით, სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების, გუნდურობისა და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. დელეგირებული მართვის პრინციპები ასახულია სკოლის მიერ შემუშავებულ სტრუქტურაში, ასევე თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სადაც მკაფიოდ არის გასაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასაქმებული პირების უფლებამოსილებები და ვალდებულებები. ინტერვიურებით ირკვევა, რომ ორგანიზაციული კულტურა სკოლის მართვის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. სკოლაში შექმნილია ჯანსაღი თანაშრომლობით კულტურაზე დაფუძნებული გარემო. ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს სკოლის თანამშრომელთა ერთობლივად განხორციელებული სასკოლო და საერთაშორისო პროექტები. მაგალითისთვის წარმოგიდგენთ უკანასკნელი 2 წლის მანძილზე განხორციელებულ აქტივობებს. 2020წ სკოლაში მასწავლებელთა STEAM გუნდი შეიქმნა (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის მათემატიკის, ისტ-ის, ხელოვნების, მასწავლებლებისგან შემდგარი გუნდი). სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი საჭირო მასალებით, კონკურსების საფუძველზე მასწავლებელთა მიერ მიღებული გრანტებით და დაფინანსებით

შეივსო:

- სასკოლო პროექტების კონკურსში გამარჯვებული - "ფიზიკის კაბინეტი"(პროექტი #ED/09/03-3027. ავტორი თ. ხ. გრანტის მოცულობა $1919,20. ფონდი - "ღია საზოგადოება- საქართველო") ;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით თ.ხ. საჩუქრად გადმოეცა ფიზიკის რეალურ - ვირტუალური ლაბორატორია (ავტ: დავით სონღულაშვილი-14 000 ლარი);
- გამოყენებითი ფიზიკისა და პროგრამირების მიმართულებით პრაქტიკის სკოლაში წარმატებით განხორციელებისათვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციით, STEAM კლუბს გადმოეცა ინოვაციური ციფრული გამზომი ხელსაწყოების შესაქმნელი-ელექტრონული მიკრო-კომპონენტების ლაბორატორია;
- 2023წ STEAM კონფერენციაში მონაწილეობისათვის სკოლის გუნდი ელექტრონული მიკროკომპონენტების ნაკრებით დაასაჩუქრეს.
- 2022წ-ეროვნული ხარისხის ნიშანი საერთაშორისო eTwinning პროექტისათვის, "ბგერის სიჩქარის გაზომვის მეთოდები და ულტრაბგერა ბიოსფეროში" გადაეცა თბილისის მე-20 საჯარო სკოლის მასწავლებელს და მოსწავლეებს.
- 2023წ.13.07 -STEAM კონფერენცია 2023. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი-სკოლამ წარადგინა STEAM პროექტები: 1),,პირობითი რეფლექსები" 2),,როგორ გამოვიყენოთ მზის ენერგია ეფექტიანად";
- 022წ 07.07 -STEAM კონფერენცია 2022. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი -წარდგენილი იყო STEAM პროექტები: 1),,გარე განათების სისტემები" 2) სუნთქვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- 2021წ 08.12 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივა. პროექტის "STEAM პროექტების მოდელირება და კონსტრუირება ფარგლებში, ვებინარში მონაწილეობა მიიღეს თბილისის N20 საჯარო სკოლის და წნორი N3 და N1 საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, წარმოადგინეს ერთობლივი პროექტი "ბგერის სიჩქარის გაზომვის მეთოდები და ულტრაბგერა ბიოსფეროში";
- 12.12.2021წ-მე-20 საჯარო სკოლის ფიზიკის კლუბის წევრებმა ჩვენი სკოლის მოსწავლეებისთვის წარადგინეს იხ. დანართი 7 მოდიფიცირებული ვარიანტი პროექტი "ულტრაბგერა ბიოსფეროში"
- 2021წ. სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლაში, მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელდა STEAM სასკოლო როექტების პრეზენტაცია:"გარე განათება სკოლა 20 ვერანდაზე" და "ART კოსმოლოგია" - ნახატი განათების ავტომატური მართვის სიტემით.
- ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ შექმნილი რესურსები:;
- მასწავლებელი ქმნის სასწავლო ელექტრონულ რესურსებს მოსწავლეებთან ერთად, შეფასების სქემებს, რუბრიკებს კლასისა და მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით, სასწავლო რესურსი- ფორმულები ფიზიკაში;
- მიმდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი, ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ეძლევა შემოქმედებითი უნარის გამოხატვის თავისუფლება.მოსწავლე თავად ქმნის საზომ ხელსაწყოებს და მისი გამოყენებით ატარებს კვლევას. (ინოვაციური ციფრული ხელსაწყოები) მაგალითად, მოსწავლეებმა შექმნეს ციფრული, ბგერის გამზომი ხელსაწყო და მისი გამოყენებით ჩაატარეს კვლევა პროექტისთვის ,,ბგერის სიჩქარის გაზომვის მეთოდები " გააზიარეს. პროექტი
- 2023 წ - კონკურსი „გახადე შენი სკოლა ენერგოეფექტური" (ევროკავშირის და საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამა CENN;
- 2023წ 18 მაისი სკოლამ მიიღო CENN ის შემოთავეზება,როგორც კონკურსში ჩართული სკოლა, შედგა ონლაინ შეხვედრა " ენერგოეფექტურობა და განახლებადი წყაროებიდან ენერგიის გენერაცია"

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან, უნივერსიტეტთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მათთან თანამშრომლობით სკოლა გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებსა თუ პროექტებს, მონაწილეობს კონფერენციებში. მნიშვნელოვანია სკოლის თანამშრომელთა აღიარების, ურთიერთმხარდაჭერის და პროფესიული წინსვლის გაზიარების ტრადიციაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.**
   სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარმატებული გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის ძირითადად ხდება კათედრებზე, პედსაბჭოზე, სამუშაო შეხვედრებზე, სასკოლო თუ საერთაშორისო კონფერენციებზე. შექმნილია ლიდერ მასწავლებელთა მუშა ჯგუფი, რომელიც ჩართულია USAID-ის საბაზისო განათლების პროექტში და იქ მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. ამ პროექტის ფარგლებში დაწყებითი საფეხურის კითხვის და მათემატიკის მასწავლებლები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს. სასკოლო კლუბებს შორის პარტნიორობის პრინციპით იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი სასკოლო პროექტები. საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ხდება საგაკვეთილო პროცესში ურთიერთ დასწრების ფორმითაც, რომლის შემდეგ მასწავლებლები ერთმანეთს აძლევენ უკუკავშირს, რომლის შემდეგაც ხორციელდება ფოკუსირებული დასწრება მიცემული რეკომენდაციის საფუძველზე. სკოლასი მოქმედებს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი.
   სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ვხვდებით აღიარებისა და წახალისების დამადასტურებელ დოკუმენტებს. კერძოდ, კათედრის სხდომის ოქმებს და ბრძანებებს ჯილდოს/პრემიების გაცემის თაობაზე.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კონონკურსის მასალები;
2. სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #20 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 7 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი N11.) დამტკიცებული „ადამიანური რესუსრების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი;
3. სკოლის დირექტორის სკოლის დირექტორის 20.09.2023 წ #№1/კ-88 ბრძანებით. -„თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები“.
4. სკოლის შინაგანაწესი;
5. პირადი საქმეები;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;**
   სკოლაში მოქმედებს სკოლის პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. მისი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვა, მათი პროფესიული განვითარება, ხელშეწყობა და თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება. ხარისხის ჯგუფის წევრები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით აკვირდებიან მასწავლებლის საქმიანობას, მათ შორის საგაკვეთილო პროცესს და უბრუნებენ უკუკავშირს. უკუკავშირის სახით მასწავლებელს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას (რეფლექსია) და რეკომენდაციების გათვალისწინებით იგეგმება შემდგომი გზები პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საქმიანობაში. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შესაბამისად სკოლაში შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ყოველი სემესტრის ბოლოს ისმენს მასწავლებლის მიერ პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების/სტრატეგიების შესახებ და ადგენს საჭიროებებს. ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის წევრებთან ინტერვიურების დროს ნათლად წარმოჩინდა, რომ ჯგუფის წევრებს სწორად აქვთ გააზრებული ხარისხის მართვის პროცესები სკოლაში. ისინი გახსნილად საუბრობდნენ მიგნებებზე და დასახულ ინტერვენციებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;**

2022 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება #2-515; ამ დოკუმენტში დაწვრილებით არის აღწერილი ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები. სკოლის პერსონალთან ინტერვიურების პროცესში გამოვლინდა სკოლის ადმინისტრაციის საქმიანობის თავსებადობა ზემოაღნიშნულ დოკუმენტში გაწერილ პროცესებთან. პერსონალის განვითარება ციკლური პროცესის ნაწილია და მხოლოდ გამოვლენილი საჭიროებების კვალდაკვალ მიმდინარეობს ინტერვენციების გეგმის შემუშავება. კათედრის ხელმძღვანელები, ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის ჯგუფი, მტუკი, დირეტორის მოადგილე და სხვა.

საჭიროებების შესაბამისად სკოლის ადმინისტრაცია ორგანიზებას უწევს ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლების პროფესიული განვითარების აქტივობებს.

მასწავლებლებთან მიმართებით ეს პროცესები რეგულირდება "მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის" მიხედვით. შესაბამისად სკოლას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით აქვს შექმნილი საკუთარი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელშიც აღწერილია ხარისხის მართვისთვის საჭირო აქტივობების განხორციელების წესები და პროცედურები, მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვების ინსტრუმენტები, ანგარიშის, თვითშეფასების, უკუკავშირის ფორმები და ა.შ.

სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარება, ეფუძნება საჭიროებების კვლევას, რისთვისაც ხარისხის ჯგუფი აკვირდება საგაკვეთილო პროცესს და ზოგადად მასწავლებლის საქმიანობას, აძლევს უკუკავშირს და გეგმავენ ინტერვენციებს, რომელსაც მიზანმიმართულად ახორციელებენ და კვლავ აფასებენ.

მასწავლებლები სტატუსების შესაბამისად გადიან სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს. თითქმის ყველა მასწავლებელს აქვს 6, 12 და 20 სთ-იანი ტრენინგი გავლილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პარალელურად სკოლაში მოწვეული სპეციალისტები ატარებენ უსაფრთხოებასთან და გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ ტრენინგებს.
საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს სასკოლო გარემოს სანიტარული ნორმების შესაბამისობის მონიტორინგის პროცესი. შემუშავებულია სპეციალური ფორმები და გამოვლენილი საჭიროებების კვალდაკვალ იგეგმება ინტერვენციები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;**

მასწავლებლის კარიერული ზრდა არის ნებაყოფლობითი პროცესი. ის რომ სკოლაში არიან წამყვანი და მენტორი მასწავლებლები, ეს არის დასტური იმისა, რომ სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლის კარიერულ ზრდას. საუკეთესო გამოცდილებას სკოლის თანამშრომლები უზიარებენ ერთმანეთს და ხელს უწყობენ მიღებული ცონის დანერვაში. მესამე თაობის ესგ-ს დანერგვა სკოლაში ინტენსიურად მიმდინარეობს. პედაგოგები ჩართულნი არიან რესურსების მომზადების პროცესში.
გერმანული ენის მასწავლებლები, ეტაპობრივად, წელიწადში ერთხელ მაინც მიემგზავრებიან გერმანიაში და კურსის დასრულების შემდეგ მათ გადაეცემათ სერთიფიკატები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

კათედრების ხელმძღვანელებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კათედრის ოქმები, სამსახურებრივი ბარათები, ურთიერთ დასწრების უკუკავშირები, განხორციელებული პროექტები, შესყიდვები და სხვა) საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი კულტურა დამკვიდრებული. სკოლის ადმინისტრაცია ახალისებს მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინიციატივებს. უქმნის პირობებს შესაბამის გარემოს, რათა მოხდეს თანამშრომელთა ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან. ამის ბევრ მაგალითებს შორის შეიძლება მოვიყვანოთ, რომ ახალ თანამშრომელთან ხდება კონკრეტული პირის მიმაგრება, რომელიც ეხმარება მას სასკოლო გარემოსთან წარმატებულ ინტეგრაციაში. სკოლას აქვს მაძიებლის პროგრამაში ჩართულობის გამოცდილება, რომლის ფარგლებშიც მაძიებელ მასწავლებელთან მიმაგრებული ტუტორი ეხმარებოდა იმ აქტივობებისა და დოკუმენტაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოწესრიგებაში, რომლებიც აუცილებელი იყო სტატუსის ასამაღლებლად. ამასთანავე, ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება პედაგოგიურ საბჭოზე, სადაც მას აქვს საშუალება გაეცნოს მომავალ თანამშრომლებსა და მათ მიღწევებს, სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო კულტურას, წინა სასწავლო წელს განხორციელებულ საგანმანათლებლო აქტივობებსა და ახალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ ღონისძიებებს. სკოლას გამოყოფილი აქვს კათედრებისთვის სამუშაო სივრცეები. უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისთვის საჭირო რესურსებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. წახალისება აისახება, მადლობის გამოცხადებაში, ფულადი ან ფასიანი საჩუქრის გადაცემაში. მაგ: ეროვნულ ფორუმში მონაწილე 6 მასწავლებელი დაჯილდოვდა ფულადი პრემიით, სკოლის დამლაგებლები სასკოლო გარემოს ჰიგიენური ნორმების ხარისხიანად დაცვის გამო წახალისთდნენ ფულადი პრემიით. დღეის მდგომარეობით პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაიწერება პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები, წერილობითი სახით გარდა შინაგანაწესისა, არ არსებობს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კათედრის ოქმები
2. შინაგანაწესი;
3. სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის დირექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის N1/კ-138 ბრძანება ტუტორის განსაზღვრის შესახებ
4. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები 2020 წლის 7 დეკემბრის N1; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
5. სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 მაისის N1/კ-43 ბრძანება მადლობის გამოცხადების შესახებ;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა მიმდინარებს სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება ციკლურ პროცესს. ასევე სისტემატურად მიმდინარეობს შიდა ხარისხის კონტროლი. ამ მიზნით კათედრების მიერ დგინდება საგნის სწავლების საჭიროებები სხვადასხვა კვლევის მეთოდის გამოყენებით. სკოლას, სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმები, რითიც განახორციელებს მომავალ წელს შეფასების მონიტორინგს.

სასწავლო პროცესის ხარისხის მართვისა და მხარდამჭერი სისტემა გამართულია და მხრდამჭერი ჯგუფი საკუთარ საქმიანობას სისტემატურად განიხილავს სხდომებზე და გეგმავს სამომავლო ქმედებებს.

სკოლაში ხარისხის მართვა ეფუძნება დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე- განავითარე პრინციპს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი პროცესები მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად; სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა სთვაზობს მშობლებსა და მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით ფასიან და უფასო მომსახურებას, რომლის შესახებაც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. კერძოდ, სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს მოსამზადებელ წრეებს: ჭადრაკი, ხატვა, სიმღერა და კარატე. აღნიშნული ინფორმაციის განთავსება ხდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე, მშობლებისა და მოსწავლეების ფეისბუქ და მესენჯერ ჯგუფებში. დაინტერესების შემთხვევაში მშობელს შეუძლია ნებისმიერი ინფორმაცია მიიღოს დირექციისაგან, დამრიგებლისაგან და სურვილის შემთხვევაში ჩარიცხოს შვილი შესაბამის წრეზე.

ძირითადი პროცესებია:

1. ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება;
2. უსაფრთხო , გამართული სასწავლო პროცესი;
3. საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების შესრულება;
4. ფინანსური მართვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კათედრის თანამშრომლებმა წარმოადგინეს პორტფოლიოები, რითიც დასტურდება, რომ ისინი საგაკვეთილო პროცეისს წარმართავენ თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით. უმთავრესი ადგილი უჭირავს კეთებით სწავლას, პრობლემაზე დაფუძნებული და პროექტულ სწავლებას, ინოვაციური კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას. ცდილობენ განუვითარონ მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების, ლოგიკური მსჯელობისა და აკადემიური წერის უნარ-ჩვევები, გაუღვივონ მათ მსჯელობის, გუნდთან ერთად მუშაობისა და პრეზენტაციის უნარები. სკოლა ორიენტირებულია უზრუნველყოს სათანადო ხარისხის სასწავლო კურიკულუმის მიწოდება მოსწავლეებისთვის; შედეგად, ცდილობს მოიპოვოს და შეინარჩუნოს დაინტერესებული მხარეების (მოსწავლე-მშობელი, თემი) ნდობა, კეთილგანწყობა, დააკმაყოფილოს მათი საჭიროებები და მოთხოვნები. საჭიროებების იდენტიფიცირება ხდება სასკოლო საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობით: მოსწავლეთა გამოკითხვით, ანკეტირებით, მშობლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან საუბრით. სკოლის სოციალურ გვერდზე მიღებული უკუკავშირით. ხარისხის განვითარების ჯგუფი ახორციელებს სწავლების ხარისხის მონიტორინგს. მათი მოვალეობა გაწერილია ხარისხის უზრუნვეყოფის დოკუმენტში და მოიცავს, დაკვირვებას სწავლა-სწავლების პროცესზე, კომპეტენტურ უკუკავშრს, რომელშიც აღნიშნულია, როგორც პოზიტიური, ისე გასავითარებელი მხარეები. სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია მშობლებთან ინდივიდუალური და საერთო შეხვედრები, მათგან მიღებული უკუკავშირი, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. არანაკლებ მნიშვნელოვანია პარტნიორი სკოლების წარმატებული პრაქტიკა. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში. სასკოლო სასწავლო გეგმაში, კურიკულუმებსა და სკოლის შინაგანაწესში.

სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებაში მოსწავლეთა თვითმმართველობა. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის წესდებაში. სკოლის წესდებაში აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, სკოლის შინაგანაწესსა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებში. სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებში აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები).

ძირითადი პროცესი - საგანმანთლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. ხელშეკრულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას. შინაგანაწესით აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში, რომელიც დამტკიცებულია 8.08.2023 წლის ბრძანება #2-330. აღნიშული წესი განსაზღვრავს შემოსული დოკუმენტაციის სახეებს, გასულ დოკუმენტაციას, შიდა დოკუმენტაციას, ბრძანებების მომზადებას და გაფორმებას, სხვადასხვა დოკუმეტებზე (წერილი, ოქმი, ცნობა) მუშაობის წესებს. კორესპონდენციის განხილვისა და პასუხის მომზადების წესს, დოკუმენტის ასლის გაცემის და დამოწმების წესს. ასევე არეგულირებს დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალებს, მოსწავლეთა ბრძანებებს, საერთო ბრძანებებს, ბრძნებების გამოცემის და აღრიცხვის წესს, კონვერტების დამუშავების წესს და ა.შ.

სკოლას წარმოდგენილი აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

სკოლაში შექმნილია სხვადასხვა კოლეგიური ორგანო თანამშრომელთა, მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების თანამონაწილეობით. კერძოდ, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. პერსონალს თუ მშობელს შესაძლებლობა აქვს მიმართოს ამ ორგანოებს მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. სკოლაში დისკრიმინაციის გარეშე დაცულია ყველას უფლებები, რომლის შესრულებაშიც ჩართულია მანდატურის სამსახურიც.

სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #20 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის N 2-366 ბრძანებით დამტკიცებულია „განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურებ“ სადაც დეტალურადაა გაწერილი გასაჩივრების პრინციპები, ფორმები, ეტაპები.

სასწავლო პროცესის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ხდება კლასის დამრიგებლების მიერ მოსწავლის მშობლისთვის /კანონიერი წარმომადგენლისთვის მათი უფლებებისა და მოვალეობებისა და შინაგანაწესის გაცნობა. ასევე, სასკოლო საზოგადოება ეცნობა სკოლის შინაგანაწესს. სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების სურვილის შემთხვევაში, ასევე, საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის მოქმედებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი დისციპლინური გადაცდომების განსახილველად. დისციპლინურ კომიტეტში თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი მოსწავლეები (მოსწავლეთა თვითმმართველობის წარდგენით), მშობლები (სამეურვეო საბჭოს წარდგენით), მასწავლებლები (პედსაბჭოს წარდგენით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის შინაგანაწესში მკაფიოდ არის გაწერილი დისციპლინური სახდელები და დარღვევათა ტიპები. სკოლა საჭიროების შემთხვევაში ქმნის სააპელაციო კომისიას. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სემესტრული გამოცდის დანიშვნის წესი. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს სკოლაში დემოკრატიული გარემოს არსებობას. სკოლას ცალკე აქვს გაწერილი და ვებ. გვერდზე გამოქვეყნებული მოსწავლის მიერ გასაჩივრების მექანიზმები

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ახელშეკრულებები, სადაც გაწერილია მათი უფლებები და მოვალეობები. ასევე ისინი ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, „გასაჩივრების დეტალურ პროცედურებ-ს“ სადაც ასახულია გასაჩივრების წესი და მათი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა არაფორმალური გაერთიანება - „მშობელთა კომიტეტი“, კომიტეტის წევრები არიან თითოეულ კლასში არჩეული წარმომადგენლები. სკოლა ზრუნავს მათ აქტიურად ჩართვაზე სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის პერსონალი და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო თუ საკლასო პროექტებში. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სასკოლო საზოგადოების უფლება მოვალეობები. რაც კიდევ უფრო დაზუსტებულია ხელშეკრულებით, რომელიც ფორმდება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის. დაზუსტებულია ხელშეკრულებით, რომელიც ფორმდება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის.

სკოლის ციფრული განვითარების გეგმა ითვალისწინებს მივცეთ საშუალება მშობლებს შეხვედრებში მონაწილეობა მიიღონ ონლაინ ფორმატში. სკოლა მუდმივად ზრუნავს მათი უფლებების დაცვაზე. მაქსიმალურად დაცულია სკოლის თემის უფლებები და თავისუფლებები კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის შინაგაგაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და გათავსებულია ვებგვერდზე.

პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და პასუხისმგებლობის სახეები. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე იზღუდება სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრის უფლება, სკოლა მას განუმარტავს უფლების შეზღუდვის საფუძველს და აუცილებლობას. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს რეფერირების წესი - ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, სადაც დეტალურადაა გაწერილი ბავშვთა უფლებების დასაცავად პროცედურები და სკოლის როლი ამ პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 04 ივლისის სხდომის ოქმი N8;
3. სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის მათემატიკის კათედრის 2023 წლის 22 მარტის N3 ოქმი;
4. სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
5. სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 27 დეკემბრის N1/კ-180 მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ ბრძანება;
6. სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 12 ოქტომბრის N14 ოქმი დისციპლინური კომიტეტის არჩევის შესახებ;
7. სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის მოსწავლის მშობლის განცხადება წრეზე შემოყვანის შესახებ;
8. სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის მოსწავლის მშობლის განცხადება სემესტრული შეფასების ამაღლებისთვის;
9. სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის მშობელთა კრების ოქმი შინაგანაწესის გაცნობასთან დაკავშირებით.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების სხვადასხვა მექანიზმი. ამ მიმართულებით კარგად იყენებს მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, სასკოლო თუ საკლასო პროექტებს.

მშობლებს, თანამშრომლებსა და მოსწავლეებს გასაცნობად ეგზავნებათ სკოლის შინაგანაწესი მშობელთა/მოსწავლეთა/მასწავლებელთა ფეისბუქ ჯგუფის მესინჯერ ჯგუფებში. გარდა ამისა, ეს დოკუმენტი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას

სხვადასხვა გზით ხდება უკუკავშირის მიღება მშობლებისგან, რაზეც ხორციელდება შესაბამისი რეაგირება. ინფორმაციის მიწოდებისა და უკუკავშირისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვნ საშუალებებს: სოციალურ ქსელში სკოლის გვერდს; კლასების მიხედვით შექმნილ მესენჯერ ჯგუფებს; სატელეფონო კომუნიკაციას.

კლასის დამრიგებლების მოვალეობაა, გააცნონ მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.); ჩვენი სკოლის მართვის პროცესების რეგულირების ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომლის შემუშავება ხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. მაგალითად, მშობელთა აქტიური ჩართულობა გამოიხატება ექსკურსიების ორგანიზებაში, კერძოდ მარშუტის შერჩევასა და ექსკურსიის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვაში. მოსწავლეთა თვითმმართველობა შეიმუშავებს რეკომენდაციებს შინაგანაწესთან დაკავშირებით. სამეურვეო საბჭო დეტალურად განიხილავს და ამტკიცებს დირექტორის მიერ წარდგენილ შინაგანაწესს, რომლის გაცნობაც ხდება სკოლის ყველა თანამშრომლისთვის/მოსწავლეებისთვის/მშობლებისთვის. თითოეულ მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს თვალყური ადევნოს საკუთარ შედეგსა და პროგრესს როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე წლის ბოლოს და გაეცნოს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. ელექტრონულ ჟურნალთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წვდომა აქვს მოსწავლეებს, მშობლებს, კლასის დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებსა და სკოლის დირექციას
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, კერძოდ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყოს სასკოლო ცხოვრებაში
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სამეურვეო საბჭოს არჩევნების ოქმი;
2. შინაგანაწესი;
3. მშობელთა კრების ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რომელთან კონსულტაციის საფუძველზე შემუშავებულ იქნება მოსწავლეების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლისა და უსაფრთხოებისთვის საგანგებო მართვის გეგმა. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. სკოლას ჰყავს 24 საათის განმავლობაში დარაჯი. ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის მთავარი ფუნქციაა დირექტორისთვის ამ მიმართულებით რეკომენდაციების მიცემა. სკოლის შესასვლელს მეთვალყურეობას უწევს სპეციალურად გამოყოფილი პირი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომელიც აღრიცხავს ვიზიტორთა ჟურნალში სტუმრის მონაცემებს. ასევე, სკოლაში დასაქმებულია სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მანდატურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დასაქმებულთა და მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლას ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული აქვს საევაკუაციო გეგმა. სკოლაში, სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შინაგანაწესით და ფუნქციური პასუხისმგებლობის გადანაწილებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სამივე სართულზე განთავსებულია სახანძრო ინვენტარის სტენდები.

სკოლას წარმოდგენილი აქვს სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის ბრძანება #2-365 „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დამტკიცების შესახებ“ , რომელიც ითვალისწინებს:

- ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმებს;
- ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმებს;
- სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის მიღებასა და მასში ცვლილების შეტანას.

სკოლა უზრუნველყოფს მთელ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლის პირველ სართულზე ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად, ამასთან აღნიშნული წესის გათვალისწინებით, სკოლაში სადაც სწავლობს 800 მოსწავლეზე მეტი, **რეკომენდირებულია** ექიმთან ერთად ექთნის დასაქმება. სკოლას გამოცხადებული აქვს სკოლის ექიმის ვაკანსია, თუმცა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი ვერ შეარჩია. ექიმის ოთახი განთავსებულია მარი ბროსეს ქუჩაზე არსებულ სასწავლო კორპუსში. მართალია სასწავლო კორპუსებს სხვადასხვა მისამართი აქვთ, თუმცა ერთმანეთის მომიჯნავედ არიან განთავსებულნი და სასურველია მაინც მეორე შენობაშიც იყოს ექთანი/ექიმი.
სოლას ჰქონდა შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამის უწყებასთან - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვისსამსახურთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას, არც ერთი სასწავლო კორპუსისთვის არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და/ან გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ, თუმცა სკოლამ შესაბამისობის გეგმაში განსაზრვრა ვადა 2024 წლის 11 ნოემბრამდე პერიოდი, რათა შეძლოს ამ პრობლემის მოგვარება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ *შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკურ რეგლამენტთან და სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადებში უზრუნველყოს* ორივე სასწავლო კორპუსის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

სკოლამ წარმოადგინა სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროსთან გაგზავნილი წერილი და ხელშეკრულება შენობის მდგრადობის შემოწმებასთან დაკავშირებით. ვიზიტის პერიოდში დასკვნა არ იყო მიღებული, რადგან სკოლა ელოდებოდა თანხის გადმორიცხვას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან, რათა მოეხდინა საბოლოო ანგარიშსწორება სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროსთან. ამდენად შენობის მდგრადობის შესახებ ინფორმაცია არ იყო შესწავლილი ვიზიტის პერიოდისთვის. თუმცა არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაული სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა სკოლის მდგრადობასთან დაკავშირებით.
სკოლას ვიზიტის პერიოდისთვის არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ***თუმცა არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დანისვნის შესახებ კორესპონდენცია.***

ყოველივე ზემოთ წარმოდგენილი მასალის გაანალიზების საფუძველზე ვასკვნით, რომ სკოლა ამ ეტაპისთვის მეტწილად აკმაყოფილებს ამ ინდიკატორის მოთხოვნებს.

<u>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისად</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში დაცულია საზოგადოებრივი წესრიგი და სკოლის პერსონალი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით.'' იცავს საზოგადოებრივ წესრიგს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლის ტერიტორიაზე კონტროლდება გარეშე პირების გადაადგილება. სკოლა მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. 24 საათის განმავლობაში არის დარაჯი/დაცვა, რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფს სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. სკოლა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით თანამშრომლობს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან და ორივე სასწავლო კორპუსში ჯამში ჰყავთ ჰყავს 6 მანდატური. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების" შესაბამისად სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვასა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას. მრჩეველთა საბჭოს სხდომები, როგორც წესი, იმართება სასწავლო წლის განმავლობაში ოთხჯერ მაინც. სკოლაში გამოვლენილ დარღვევებს, როგორიცაა მოსწავლის მხრიდან საგაკვეთილო პროცესის ჩაშლის მცდელობა აქვს შესაბამის რეაგირება მასწავლებლის მხრიდან, რომელსაც აქვს უფლება გაკვეთილიდან გააძევოს მოსწავლე და განცხადებით მიმართოს სკოლის მანდატურებს. მანდატურები სიტუაციის მოკვლევის შემდეგ საჭიროების შემთხვევაში უწერენ ოქმს წესრიგის დამრღვევ მოსწავლეს. ოქმების გარკვეულ რაოდენობაზე მოსწავლეს ეკისრება სკოლისთვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელება, მაგალითად: საკლასო ოთახის დალაგება, სკოლის ეზოსა და ბიბლიოთეკის მოწესრიგება და ა.შ. ხოლო სკოლიდან 5 დღემდე ვადით დათხოვნის გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. მოსწავლეთა ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევაში სკოლის მანდატურები საქმის კურსში აყენებენ თავიანთ სამსახურს და აუდიტის სამსახურთან ერთად აქვთ შესაბამისი რეაგირება. რა თქმა უნდა მშობლები ნებისმიერი სიტუაციის დაფიქსირების მომენტიდან საქმის კურსში არიან და ევალებათ სკოლაში გამოცხადება. სკოლის დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ რომ ზემოთ ნახსენები სახდელები დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა ქცევასა და პასუხისმგებლობაზე. აღნიშნული მოსწავლეები უფრო მეტად არიან ჩართულები სასკოლო გარემოს მოვლაში და რაც მთავარია ფაქტიურად ნაკლებად იქცევიან მსგავსად. მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევების გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მასწავლებელს, სკოლიდან 5 დღემდე ვადით დათხოვნის გადაწყვეტილების მიღების უფლება – სკოლის დირექტორს, ხოლო 5-10 დღემდე ვადით დათხოვნის ან სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილების მიღების უფლება – დისციპლინურ კომიტეტს ფარული კენჭისყრით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**

სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებლები, რომელებიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ მომსახურებას და ესწრებიან გაკვეთილებს, თუმცა ძირითადად მუშაობენ მხოლოდ სსსმ მოსწავლეებთან. სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, თუმცა ჰყავს 3 სპეც მასწავლებელი, რომლებიც ითავსებენ საჭიროების შემთხვევაში ფიქო-სოციალური დამხმარეს ფუნქციას. კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას. არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას. მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას. მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევას. მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. დამრიგებლები, დამრიგებლის საათისა და პირადი საუბრების ფარგლებში უზრუნველყოფენ ისეთ საკითხებზე საუბარს, რომლებიც შეიძლება გამოწვევა იყოს ბევრი მოსწავლისთვის. მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს ფსიქოსოციალური მომსახურების მიღება შეუძლიათ მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან ან სოციალურ მუშაკთან. ჩვენი სკოლის მანდატური, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, სთავაზობს მშობელს სოციალური მუშაკის მომსახურეობას. მშობლის თანხმობის შემთხვევაში ივსება რეფერალი და შემდეგ იგეგმება ფსიქოლოგთან ვიზიტი. სკოლა მოსწავლეებისთვის აწარმოებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ. სკოლაში მოქმედებს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და გვყავს სპეციალური მასწავლებელი. იმართება ბულინგის საწინააღმდეგო, პრევენციული ღონისწძიებები, როგორც სადამრიგებლო საათზე ისე საგაკვეთილო პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

სკოლა არის ახლად გარემონტებული. ვიზიტის პერიოდში, ორივე სასწავლო კორპუსში მაქსიმალურად იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას გააჩნია რესურსი, რათა დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. გარდა ამისა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესურები. შემუშავებულია მონიტორინგის ფორმები. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა სისტემატურად ახორციელებს მონიტორინგს და ჰყავთ პასუხისმგებელი პირიც. სკოლას ემსახურება 6 დამლაგებელი, სკოლაში არის სუფთა და უსაფრთხო გარემო. მოწესრიგებული და დასუფთავებულია სკოლის ეზო. დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია სანიტარული ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც კონტროლს უწევენ ზოგადად სკოლის ტერიტორიაზე ჰიგიენური ნორმების დაცვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**

სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლაში მუშავდება მოსწავლეების, თანამშრომლებისა და მშობლების პერსონალური მონაცემები. მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი - რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ნასამართლობის შესახებ ინფორმაციას, სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ინფორმაციას, ბიომეტრიულ ინფორმაციას და სხვა. მშობლებსა და სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში არის გარკვეული ჩანაწერები პერსონალური მონაცემების გამოყენებისა და დამუშავების შესახებ.

პერსონალურ მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირთან (საქმისმწარმოებელთან) გასაუბრებითა და წარმოდგენილი მასალების დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. დასაქმებულ პირებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით თანხმობების მოპოვებას ან მონაცემთა დაშიფრვას.

მაგ: დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ მშობლებს შვილის წარმატებებს. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

სკოლას ემსახურება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის სარგებლობაში არსებული კომპიუტერების პროგრამულ უზრუნველყოფას. ყველა მათგანზე დაინსტალირებულია ანტივირუსი, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერების გამართულ მუშაობას. კომპიუტერებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაყენებულია პაროლები, რომლის შეყვანის გარეშე არ იხნება კომპიუტერში შენახული ფაილები. პაროლი ცნობილია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**
   სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია დაცულია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები კანონით დადგენილი წესით და მესამე პირების წვდომისაგან იცავს კანონმდებლობით დაცულ პერსონალურ ინფორმაციას, სკოლის მიერ პერსონალური ინფორმაცია მუშავდება, მხოლოდ კანონით დადგენილი წესით და მოცულობით. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი.
   დასაქმებულთა პირად საქმეებზე , სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე, ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**
   სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის რეკომენდაციების საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას.
   სკოლა ახორცილებს პროცესების უსაფრთხო მართვას და პერიოდულ შეფასებას (მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფები მოსწავლეებთან და მშობლებთან, საუბრები და სხვ), რაც აისახება უსაფრთხო გარემოს ორგანიზებაში. მიღებულ ინფორმაციებს დაუყოვნებლივ აანალიზებენ რეაგირების მიზნით. უსაფრთხო გარემოს შექმნას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სკოლის ცხოვრებაში. პრევენციის მიზნით სკოლაში შექმნილი კლუბები ახორცილებენ პროექტებს ძალადობასთან, ბულინგთან, ჯანსაღი ცხოვრების წესთან და ა.შ. დაკავშირებით.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ამის გათვალისწინებით

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
2. სადამრიგებლო პროგრამა;
3. უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი
4. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანისვნის შესახებ სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის დირექტორის 2017 წლის 23 თებერვლის N1-11 ბრძანება (შეტანილია ცვლილება 2023 წლის 19 ოქტომბრის N1/კ-19 ბრძანებით)
5. რეფერირების განხორციელების პროცედურები;
6. შინაგანაწესი;
7. საქმისწარმოების წესი;
8. ექიმის ხელშეკრულება;
9. ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ
10. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
11. მრჩველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
12. ვიზუალური დათვალიერება;
13. ექიმის კონკურსის მასალები;
14. შრომითი ხელშეკრულება სპეციალურ მასწავლებელთან;
15. სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 თებერვლის N1/კ-05 ბრძანება „საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლას (ქ.თბილისის ჯამბულის ქ.N5) 2010 წლის 8 აგვისტოდან უვადო სარგებლობის უფლებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან გადაცემული აქვს 2715,82 კვ.მ. ფართი (ს/კ 01.15.04.008.025) და (ქ.თბილისის ბროსეს ქ.N8) 2010 წლის 9 სექტემბრიდან უვადო სარგებლობის უფლებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან გადაცემული აქვს 1863 კვ.მ. ფართი (ს/კ 01.15.04.005.025) მასზე არსებული შენობა-ნაგებობით. შენობობები არის 3-3 სართულიანი. ადმინისტრაციული კორპუსი- ჯამბულის ქ. N5. ნულოვან სართულზე განთავსებულია სარდაფი, პირველ სართულზე - 9 საკლასო ოთახი, ბუფეტი, ადაპტირებული სველი წერტილები, სამი საპირფარეშო, მარაგების ოთახი.

მეორე სართულზე დირექტორის ოთახი, კანცელარია, მანდატურების ოთახი, 5 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, ორი საპირფარეშო, გერმანულის კაბინეტი. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 17 პერსონალური კომპიუტერი; 3 პროექტორი; პროექტორის ეკრანი;1 5 ცალი პრინტერი; ყველა კომპიუტერი დატვირთულია ინტერნეტ ქსელით.

მესამე სართულზე 6 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორია და დაბაზი.

მეორე კორპუსი. მარი ბროსეს ქუჩა - N8. ნულოვან სართულზე**,** მარცხენა ფლიგელში განთავსებულია სარდაფი, ორი ოთახი (გასახდელი ბიჭებისთვის და გოგონებისათვის თავ-თავისი საპირფარეშოებით), სპორტული დარბაზი, ბუფეტი. მარჯვენა ფლიგელში განთავსებულია თვითმმართველობის ოთახი, ორი საკლასო ოთახი (სასკოლო წრეებისთვის). საგნებისთვის საჭირო თვალსაჩინოებები განლაგებულია ლაბორატორიაში. პირველ სართულზე - რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა, ერთი საკლასო ოთახი (სარგებლობს გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფი) და ერთი ადაპტირებული სველი წერტილი, მეორე სართულზე განთავსებულია 5 საკლასო ოთახი და ერთი კომპიუტერული ლაბორატორია- ლაბორატორიაში განთავსებულია 19 ლეპტოპი, სხვადასხვა საჭიროებისმებრ -4 პერსონალური კომპიუტერი,) 3 სველი წერტილი (საპირფარეშო გოგონებისათვის, ბიჭებისათვის და მასწავლებლებისათვის), სამასწავლებლო და კაბინეტი სასწავლო ნაწილისათვის.

მესამე სართულზე - 7 საკლასო ოთახი, კაბინეტი მანდატურის სამსახურისათვის, 3 სველი წერტილი (გოგონებისათვის, ბიჭებისათვის და მასწავლებლებისათვის). ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით და სკამებით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით, საკლასო ოთახები აღჭურვილია იმ რაოდენობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მერხებითა და სკამებით, რომ შეძლოს ორ ცვლაში მოსწავლეთა მომსახურება და სათადარიგოდ ყველა კლასში დგას სათადარიგო მერხები და სკამები და სასწავლო რესურსების შესანახად კარადები (აგრეთვე რამდენიმე კლასში დგას მუსიკალური ინსტრუმენტი- ფორტეპინო).

რაც შეეხება შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტს, ჩვენ ვიხელმძღვანელეთ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით, სადაც კონკრეტულ მისამართზე მითითებულია სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #20 საჯარო სკოლა და ასევე საჯარო რეესტრიდან ამონაწერით, რომლის მიხედვითაც სკოლას აქვს მინიჭებული საკადასტრო კოდი და აღწერილია შენობა ნაგებობების არსებობა კონკრეტულ მისამართზე.

ინდიკატორი არის შესაბამისობაში

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას დამტკიცებული აქვს დებულება სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, საკონფერენციო დარბაზი და ბიბლიოთეკა, რომლებიც ხელმისაწვდომია სკოლის ნებისმიერი წევრისთვის. სკოლას დამტკიცებული აქვს და შესაბამისად მუშავდება ლაბორატორიითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო თვალსაჩინოებებით (კომპიუტერი კომპლექტი (დესკტოპი) 24 ცალი, ლეპტოპი 19 ცალი, ცალკე მონიტორი - 54 ცალი, ცალკე პროცესორი - 37 ცალი. პროექტორი 10 ცალი, ლაზერული შავ-თეთრი პრინტერი 6 ცალი). სკოლას არ აქვს ქიმიის ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა, ამდენად საგაკვეთილო პროცესში მონაცვლეობით ტარდება სადემონსტრაციო ცდები ქიმიაში და ინტენსიურად ხდება ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენება კომპიუტერული ლაბორატორიის მეშვეობით. ლაბორატორიის საცავში დაცულია შესაბამისი ინვენტარი ქიმია-ფიზიკა-ბიოლოგიის გაკვეთილებისთვის. **სკოლას მიეცა რჩევა** გამოეყო შესაბამისი ფართი პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად არავირტუალური პირობებითაც. ბიბლიოთეკასა და ლაბორატორიაში მუშაობის წესები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე და მისი დაცვა ყველასათვის სავალდებულოა. ბიბლიოთეკაში დამუშავებულია წიგნადი ფონდი კანონმდებლობის შესაბამისად. სასკოლო ბიბლიოთეკაში თაროებზე წიგნები განთავსებულია კატალოგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიხედვით. ბიბილიოთეკაში არის ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერი და პრინტერ/ქსეროქსის აპარატი. წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კლასისა და ყველა საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა საინვენტარო წიგნის ელექტრონულ ფორმატში გადატანა და სახელმძღვანელოებისა და მხატვრული ლიტერატურის ნომენკლატურის ცვლილება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**

სკოლაში ირიცხება 14 სსსმ მოსწავლე. ყველა მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური სასკოლო მერხი. სკოლას აქვს მოწესრიგებული, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი, სანიტარიული ნორმების დაცვით დასუფთავებული სველი წერტილები (არის შეზღუდული გადაადგილების მქონე მოსწავლისთვის ადაპტირებული სველი წერტილები).

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ამ ეტაპისთვის არ ჰყავს შშმ მოსწავლე, რომელსაც ესაჭიროებს ეტლით გადაადგილება, სკოლის დაწყებით კორპუსს, მარი ბროსეს ქუჩაზე, აქვს პანდუსი შესასვლელში, ხოლო ადაპტირებული საპირფარეშოები აქვს ორივე სასწავლო კორპუსს. აღსანიშნავია, რომ სკოლის ორივე სასწავლო კორპუსის კიბეები ვერ ქმნის გადაადგილების ინკლუზიურ გარემოს, რადგან ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეეზღუდებათ შესაძლებლობა სრულად მიიღონ ყველა სერვისი, რასაც სკოლა სთავაზობს დანარჩენ მოსწავლეებს. ამდენად, კიბეებზე გადასაადგილებელი პანდუსების არ არსებობის შემთხვევაში, მინიმუმ ყველა საჭირო რესურს ოთახი, ლაბორატორიები (კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო) უნდა მოეწყოს პირველ სართულზე. აღსანისნავია, რომ სკოლას პირველ სართულზე აქვს გამოყოფილი სპეციალური ფართი (ფოიეში) სადაც განთავსებულია ჩოგბურთის მაგიდა (პინ-პონკის), რაც საშუალებას მისცემს შშშმ მოსწავლეს ჩაერთოს სპორტულ აქტივობებში.

არგუმენტირებული პოზიციისას სკოლამ წარმოადგიუნა მტკიცებულებები სასწავლო ლაბორატორიების პირველ სართულზე გადმოტანის შესახებ.

ინდიკატორი შეფასდა დაკმაყოფილებულიად

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა (რესურს ოთახი, საკონფერენციო დარბაზი, სააქტო დარბაზი და სპორტული დარბაზები, გარე სპორტული მოედანი) იძლევა შესაძლებლობას, ჩატარდეს სასკოლო ღონისძიებები, მოეწყოს სხვადასხვა სკოლასთან (ორგანიზაციასთან) სასწავლო-შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებები, განხორციელდეს სასკოლო პროექტები, იმუშაოს სასკოლო კლუბებმა, ხელი შეეწყოს თანამშრომლობას, სოციო-კულტურულ სივრცედ სკოლის ჩამოყალიბებას. პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო - კულტურული სივრცის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა ჩართულია სხვადასხვა ეროვნულ თუ საერთაშორისო პროგრამაში და წარმატებით საქმიანობს ამ მიმართულებით, განხორციელებული აქვთ სხვადასხვა პროექტი და აქტივობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).**
   სკოლას გააჩნია რესურსები სასწავლო პროცესის ხარისხიანად განსახორციელებლად. სკოლას აქვს შემდეგი საგანმანათლებლო რესურსები: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საკადასტრო გეგმა;

ამონაწეი საჯარო რეესტრიდან;

რესურსების განაწილების წესი;

ინვენტარის მიღება-ჩაბარებები;

მატერიალური რესურისით სარგებლობის წესი;

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**
   სკოლის ორივე კორპუსში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია ერთში-17 პერსონალური კომპიუტერი და მეორეში -19 ლეპტოპი. 6 პროექტორი. ორივე კომპიუტერული ლაბორატორია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ მოსწავლეებთან ერთად და მიიღონ ინტერნეტით მათთვის საჭირო ინფორმაცია, ელექტრონული რესურსები, მრავალფეროვანი მასალები, გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. სკოლას ჰყავს კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი. დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ შიდა და გარე პერიმეტრების დაცვას. ამასთანავე, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის ელექტრონული ვერსიების შექმნასა და დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობას ადმინისტრაციული პროცესების სრულფასოვნად წარმართვისთვის. სკოლას აქვს შესაბამისი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა. ასევე, საჭიროების მიხედვით, მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ სკოლის ბაზაზე არსებული ციფრული ტექნიკა. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასკოლო მუშაობის სრულფასოვან წარმართვას. სკოლა აგრძელებს ამ მიმართულებით სრულყოფას და შეიმუშავებს ციფრული განვითარების კონცეფციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებული

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

   სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია რესურსებით სარგებლობის წესი. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს IT კაბინეტით სარგებლობის წესს. კომპიუტერული ტექნიკა განთავსებულია ძირითადად IT კაბინეტში და წინასწარ გაწერილი განრიგის შესაბამისად კლასებს შეუძლიათ მისი გამოყენება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მატერიალური რესურისთ სარგებლობის წესი;
2. ციფრული ტექნიკის შესყიდვების დოკუმენტაცია;
3. უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
4. ვიზუალური დათვალიერებით.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**
   სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებილი აქვს სკოლის ,,საქმისწარმოების ერთიანი წესი". ერთიანი საქმისწარმოების წესი მტკიცდება დირექტრის ბრძანებით და მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხორციელდება ამავე წესით წინამდებარე საქმისწარმოების წესი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: ა) შემოსული დოკუმენტაცია; ბ) გასული დოკუმენტაცია; გ) შიდა დოკუმენტაცია. სკოლაში იწარმოება: 1. შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; 2. გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; 3. საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; 4. საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, ზონარგაყრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით. ჟურნალების შესაბამის საქაღალდეებში დაცულია სესაბამისი კორესპოდენციის ასლი ან დედანი. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები (დოკუმენტწარმოების ელექტრონული სისტემა eflow) ელექტრონული საქმისწარმოებისათვის. შემოსული კორესპოდენცია მუშავდება და ტარდება ელექტრონულ eflow სისტემაში. ენიჭება შემოსული დოკუმენტის ნომერი. ასევე გასულ დოკუმენტს ენიჭება გასული დოკუმენტის შესასბამისი ნიომერი.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;**
   შემოსული კორესპოდენცია მუშავდება და ტარდება ელექტრონულ eflow სისტემაში. ენიჭება შემოსული დოკუმენტის ნომერი. ასევე გასულ დოკუმენტს ენიჭება გასული დოკუმენტის შესასბამისი ნიომერი. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები ელექტრონული საქმისწარმოებისთვის eflow, eschool, სკოლას აქვს ელ- ფოსტა, საიდანაც იგზავნება და მიიღება საჭირო ინფორმაცია. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchoolს სისტემის მეშვეობით.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;**
   სკოლის დირექტორის განმარტებით საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო მონაცემი შევსებულია სრულად, ხდება მონაცემების განახლება და ასახვა ელექტრონულ სისტემებში. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**.
   სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება Eflow სისტემაში შერჩევითი პრინციპით გაგზავნილი დოკუმენტაციის შესწავლით.სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბრამდე უგზავნის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტს და აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში, ასევე 20 ნოემბრამდე შესყიდვების გეგმას არეგისტრირებს spa.ge-სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ გვერდზე. ყოველწლიურად 10 დეკემბრამდე დირექტორი ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ეროვნული სასწავლო გეგმის 24 მუხლის შესაბამისად გაძლიერებული სტატუსის სკოლები ვალდებულნი არიან, 3 წელიწადში ერთხელ, საგნის სწავლების დანერგვისა და მიმდინარეობის შესახებ წარუდგინონ ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რათა ამ უკანასკნელმა იმსჯელოს სკოლისთვის გაძლიერებული სტატუსის გაგრძელების ან არ გაგრძელების თაობაზე. სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #20 საჯარო სკოლას სკოლას, გერმანული ენის სწავლების გაძლიერებული სტატუსი მინიჭებული აქვს 2015 წელს. სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნულის შესრულების ანგარიში, მხოლოდ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გააგზავნა დანერგვის ანგარიში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ამდენად შეიძლება დავასკვნათ, რომ

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმის წარმოების წესი;
2. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
3. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
4. ადაპტაციის წესი 2023 წლის 22 სექტემბრის ბრძანება # 2-373;
5. წერილი 2023 წლის 03 ოქტომბრის #1291284 გერმანული ენის სწავლების დანერგვის ანგარიშის გაგზავნის შესახებ;
6. ვიზუალური დატვალიერებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**
   სკოლა საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციას ახორციელებს მოსწავლეთა მშობელთან ურთიერთობის დებულების შესაბამისად.
   სკოლა საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებსა და გზებს. მაგ:

- სკოლას აქვს ოფიციური ვებ. გვერსი, სადაც განთავსებულია სკოლის საქმიანობის ამსახველი მასალა - https://skolebi.emis.ge/
- სკოლის სოციალური ქსელი არის ინფორმატიული, ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.
- მშობლებს და დაინტერესებულ პირებს უკავშირდება ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით.
- მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწერების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება:
  ✓ მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით);
  ✓ ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

✓ სისტემატური კომენტარებით I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში;
✓ მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

   სკოლა ასაჯაროებს და ავრცელებს საკუთარი საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარ ინფორმაციას; ინფორმაცია ვრცელდება მშობელთა კრებების მეშვეობით. ამავდროულად ინფორმაცია განთავსებულია სკოლის სოციალურ და ვებ-გვერდებზე. სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დადასტურება. სკოლის ელექტრონული ფოსტა გამიზნულია ინფორმაციის სწრაფად გავრცელებისა და უკუკავშირის მოქნილად მოპოვებისთვის.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

   სკოლის დირეტორთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის მესვეურნი გულისყურით ადევნებენ თვალს სოციალურ ქსელებს. პირისპირ შეხვედრებიდან და სოციალური ქსელიდან მიღებულ საინტერესო ინფორმაციას, უკუკავშირს, სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან ერთად განიხილავს, მიღებულ უკუკავშირს მიზნებისა და საჭიროების შესაბამისად გამოიყენებს და დანერგავს სასკოლო პრაქტიკაში საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

   სკოლას აქვს მოქმედი ვებ. გვერდი https://skolebi .emis.ge / , რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

   სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია სკოლის შესახებ: საკონტაქტო ინფორმაცია, სასკოლო სასწავლო გეგმა, საჯარო ანგარიშები, კურიკულუმები, მოსწავლის მიღების წესი, ფინანსური ანგარიშები და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვებ გვერდი;
2. დაწესებულების სოციალური ქსელი;
3. საქმისწარმოების წესი;
4. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;**
   სკოლის ფინანსური რესურსი იძლევა იმის საშუალებას, რომ სამოქმედო გეგმა განხორციელდეს. სკოლა აღიჭურვოს საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებით. სკოლა ბიუკეტის შემუშავებისას ხელმძღვანელობს გასული წლების ხარჯებისა და შემოსავლების ანალიზის შედეგებით. ითვალისწინებს მოსალოდნელ რისკებს, გარე ფაქტორებს. ბიუჯეტის დაგეგმვის წინ ხდება წინა წლის განხორციელებული შესყიდვების ანალიზი და ბაზრის კვლევა. სკოლას აქვს ბიუჯეტი (სამეურვეო საბჭოზე დამტკიცებული), თანხების განკარგვა მიმდინარეობს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ბიუჯეტის საფუძველზე შემუშავებულია შესყიდვების გეგმა, რომლის კორექტირებაც ხდება საჭიროებს შემთხვევაში და კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის დაცვით წარადგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოსა და მაკონტროლებელი ორგანოების წინაშე. სასკოლო სასწავლო გეგმით გათალისწინებულია გერმანული ენის მე-2 კლასიდან სწავლება რომელიც ნაწილობრივ დაფინასებულია სკოლის ბიუჯეტიდან.
   სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა სექტემბრის თვიდან დაიწყებს ბაზრის მოკვლევას, ანალიზს და მომავალი 2024 წლის ბიუჯეტის დაგეგმვას ახალი სამოქმედო გეგმის შესრულებისა და სტრატეგიული გეგმის მიზნების მისაღწევად.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა ბიუჯეტს შეიმუშავებს შემოსავლებისა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებების და გასული წლის ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე; თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისთვის. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში შედის მასში ცვლილებები სკოლის დირექტორის ბრძანების შესაბამისად. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის დაცვით წარადგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოსა და მაკონტროლებელი ორგანოების წინაშე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტით;
2. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებით;
3. ეკონომიკური საქმიანობით მიღებული დაფინანსების ანალიზის შედეგებით;
4. სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

   სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება კანონს ზოგადი განათლების შესახებ, ბავშვთა უფლებების დეკლარაციას და იმ ფუნდამენტურ საკანონმდებლო აქტებს სადაც გაწერილია ბავშვის უფლებები და მოვალეობები. ბავშვს აქვს უფლება სწავლობდეს უსაფრთხო გარემოში. ამ მიმართულებით შიდა სასკოლო რეგულაციები, დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, მასწავლებელთა მორიგეობა, კლასის დამრიგებლის უფლება-მოვალეობები უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. შინაგანაწესში გაწერილია როგორც დისციპლინური სახდელები, ასევე წახალისების ფორმებიც. წახალისების ფორმებად სკოლას დადგენილი აქვს : მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.

   მოსწავლეთა გაცდენის და საფეხურის დაძლევის საკითხები რეგულირებულიაა სასკოლო სასწავლო გეგმით.შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული მოსწავლეების პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ პირად საქმეში ინახებოდა კანონით განსაზღვრული დოკუმენტები, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ზოგადი წესები და პირობები.

   სკოლას, 2023 წლის 19 სექტემბერის დირექტორის #2-366 ბრძანებით დამტკიცებული აქვს გასაჩივრების წესი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;**

   სკოლის შინაგანაწესი თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული სკოლაში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გაცნობა ხდება საინფორმაციო შეხვედრებზე, მშობელთა კრებებზე, დამრიგებლის საათზე. რეგულაციები არის გამჭვირვალე და გააზრებული სასკოლო საზოგადოების მიერ, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლა მოსწავლეებისთვის აწყობს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას, რაც გულისხმობს საკლასო და სასკოლო პროექტებს. დამრიგებლები პერიოდულად აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესსა და მასში ასახულ ცვლილებებს, მოსწავლეების უფლება-მოვალეობების განხილვა-შეხსენება ხდება საკლასო ოთახებში, ერთობლივი წესით შემუშავებულ ქცევის წესებში. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილებების გაცნობა ხდება დაუყონებლივ არაუგვიანეს მომდევნო მშობელთა შეხვედრებზე. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია საინფორმაციო დაფასა და სკოლის ვებგვერდზე.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**
   მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. სკოლას მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები.
   კლასის დამრიგებლებისა და სკოლის დირექტორის განცხადებით, ისინი მკაცრად იცავენ პპერსონალურ მონაცემთა დაცვის წესს. მაგ: როდესაც საჭიროა მოსწავლისშესახებ გარკვეული ინფორმაციის გაზიარება(ფოტო-ვიდეო მასალა), ხდება მშობლის ნებართვის საფუძველზე. კლასის დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ ნებართვის ზოგადი ფორმა.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

5. შინაგანაწესი;
6. მშობლებთან/კანონიერ წარმოამდგენლებთან გაფორმებული ხელშეკკრულებები;
7. სსიპ გურამ რამისვილის სახელობის ქალაქ თბილისის #20 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის #2-366 ბრძანება „სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურის დამტკიცების შესახებ“.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #20 საჯარო სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების დამტკიცების წესის საფუძველზე. დოკუმენტაციის გაცნობისას ჩარიცხვა/ამორიცხვა, სტატუსის შეჩერება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, მოსწავლის საფეხურის დაძლევის საკითხები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით. კერძოდ, სკოლაში დაწყებითი (გარდა პირველი კლასისა), საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასებში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილის შესაბამისად, მოსწავლეთა ჩარიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარგლებში, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ხორციელდება მოსწავლეთა მობილობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;**

   სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool და მოსწავლეთა პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებული

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

   სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას კლუბებისა და წრეები სახით, რომელიც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. სკოლა მე-2 კლასიდან ახორციელებს მეორე უცხოური ენის (გერმანული ენა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სწავლებას მშობლებთან შეთანხმებით, რომელიც ასევე შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. აღნშნული მომსახურეობის დაფინანსება ხდება სკოლის ვაუჩერული დაფინასებიდან. ასევე სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს გახანძლივებულ სწავლებას, მომსახურეობისთვის დადგენილი საფასურის ხარჯზე. სხვადასხვა კონცეპტუალური დოკუმენტი / მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, შინაგანაწესი, მასწავლებლის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი, დირექტორის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი/ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავს სკოლის შიდა პოლიტიკასა და მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევის შეახებ ინფორმაციას.

სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რემედიაციულ აქტივობებს. გასულ წელს არაერთი რემედიაციული პროცესი წარმართეს სკოლის საგნისა და სპეც მასწავლებლებმა სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლაში დასაქმებულ პირებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სკოლაში ვიზიტისას ან მშობლის დამრიგებელთან კომუნიკაციის საშუალებით. ასევე სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული, არადისკრიმინაციული და პროაქტიული. სკოლაში განცხადებები პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად გამოიკვრება საინფორმაციო დაფაზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში, სკოლის ფეისბუქ გვერდზე პერსონალური მონაცემების დაცვით, დახურულ სოციალურ ჯგუფებში მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, სასკოლო თემის ყოველ სუბიექტს ხელი მიუწვდება სკოლაში არსებულ რესურსებზე. მოცემული პროგრამები, სერვისები და აქტივობები არის კანონმდებლობის შესაბამისი. სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას როგორც წრეების ხელმძღვანელებთან, ასევე მოსწავლეების მშობლებთან ან კანონიერ წარმომადგენლებთან (ხელშეკრულება იდება ორ ეგზემპლარად - ერთი რჩება სკოლას, მეორე - მხარეს). ხელშეკრულება არის გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და განახლებადი. სკოლის ადმინისტრაციის მიერ ხდება მონიტორინგი, რომ შესაბამისი ინფორმაცია დროულად იქნეს მიწოდებული მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის, ასევე, რომ ინფორმაცია იყოს სწორი და სრული ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია მისთვის სასურველ წრეზე ჩარიცხვა სურვილის შემთხვევაში. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს, აგრეთვე მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ, თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლონ სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით.

სკოლა არ აწესებს შეზღუდვებს (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამით ხელი ეშლება სასწავლო პროცესს), შემუშავებულია IT კაბინეტით, ბიბლიოთეკით სარგებლობის გრაფიკები; სკოლაში არსებულ საგანმანათლებლო მომსახურეობაზე ხელი მიუწვდება ყველა მოსწავლეს (წრეები, კლუბები...). მათი ფუნქციონირების შესახებ სკოლაში ინფორმაცია საჯაროა. აღნიშული ინფორმაცია ასევე ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. რომელიც ასევე გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორი დადასტურებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები
2. შინაგანაწესით;
3. სასკოლო კლუბების დებულებები;
4. საინფორმაციო სისტემის Eschool-ის ბაზ
5. მოსწავლეთა ჩარიცხვის/ამორიცხვის/სტატუსის შეჩერების ბრძანებე
6. ინტერვიუს შედეგებით;
7. მეორე ენის არჩევის დოკუმენტი;
8. სტატუსის შეჩერება/აღდგენის ბრძანება
9. მოსწავლეთა პირადი საქმეები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**

   სკოლის მიზანია დაეხმაროს ყველა მოსწავლეს სწავლების თითოეულ ეტაპზე. ამისთვის, სასკოლო საზოგადოება, სკოლის ადმინისტრაცია და დირექცია უზრუნველყოფს მოსწავლის განვითარებაზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე მორგებული გარემოს შექმნას. განსაკუთრებულ როლს ასრულებენ კლასის დამრიგებლები, რათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეებმა შეძლონ სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია. სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში პროცესში ერთვებიან სპეციალური მასწავლებლები და მათი ასისტენტები. ასევე, (საჭიროების შემთხვევაში) სოციალური მუშაკის მომსახურება ითვალისწინებს გარკვეული მოსწავლეების ინტერესების დაცვას და მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში უმტკივნეულოდ და ნაყოფიერად. სასკოლო სივრცის გაცნობა გულისხმობს გაცნობას არა მხოლოდ პირველკლასელთათვის, არამედ ახლადგადმოსული მოსწავლეებისთვისაც, რომლებიც აქტიურად ერთვებიან სასკოლო ცხოვრებაში დამრიგებლისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების მხარდაჭერით. ახალი მოსწავლის მიღებისას დამრიგებელი მას აცნობს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს (საპირფარეშოები, ბუფეტი, ლაბორატორიები, დარბაზი, სამასწავლებლო...) სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადაპტაციის გეგმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

ყველა კლასს ხელმძღვანელობს დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით; თანაკლასელებს ახალი მოსწავლე გაჰყავთ სასკოლო სივრცეში, აცნობენ გარემოს, სკოლის წესებს, ტრადიციებს, აცნობს შინაგანაწესს. სკოლის ყველა მოსწავლისათვის დანერგილია ადაპტაციის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის სწავლისთვის მზადყოფნის დადგენას.

ინდიკატორი დადასტურებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვის ვალდებულება აქვს თითოეულ მასწავლებელს. სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეების დასახმარებლად სკოლას აქვს შემუშავებული რემედიაციის წესი. სკოლას აქვს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლების პროცესის მხარდაჭერის საკონსულტაციო სისტემა. მოსწავლეთა სწავლაში ჩამორჩენის შემთხვევაში მასწავლებლები ინდივიდუალურად უზრუნველყოფენ ჯგუფური ან/და ინდივიდუალური გაკვეთილების ჩატარებას. ასევე, ექსტერნების შემთხვევაში ყველა საგამოცდო საგანში მოსწავლე იღებს კონსულტაციებს შესაბამისი საგნის მასწავლებლებისგან. აღნიშნული უზრუნველყოფილია, ასევე, საშემოდგომო ან/და წლიური გამოცდების შემთხვევაში. სკოლას ასევე აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმები და წესად აქვს გაწერილი პროცედურებიც. სკოლის სპეც. მასწავლებლებთან ინტერვიურებს დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

განაცხადეს, რომ დიდ ყურადღებას აქცევენ მოსწავლის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას. ვინაიდან მათ არ ჰყავთ ფსიქოლოგი და სპეც. მასწავლებლების მთელი დრო და ძალისხმევა მიმართულია სსსმ მოსწავლეების დასახმარებლად, ამდენად ძალიან აქტიურად სარგებლობენ მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრიშ თანამშრომლების დახმარებით. მასწავლებლების განმარტებით, მოსწავლეებს ხშირად საკუთარი ფსიქო ემოციური მდგომარეობას არ აძლევს საშუალებას იზრუნონ აკადემიური მიღწევების ან ქცევის გაუმჯობესებაზე, ასეთ შემთხვევაში სკოლა სარგებლობს მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგის მოსახურებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, ხდება დროული რეაგირება. მაგალითად ხელშეკრულების გაფორმება, მოთხოვნის საფუძველზე მოსწავლის მშობლისათვის მოსწავლის ცნობის ან დახასიათების მომზადება, რაც შემოსული და გაცემული დოკუმენტაციის ჟურნალებში დასტურდება. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე ხდება მათი უფლებების გაცნობა, ასევე მოსწავლეებთან კლასის საათზე ხდება მათთვის უფლებების და მოვალეობების გაცნობა. ამასთან იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს.
სკოლა ახორციელებს მოსწავლის მხარდაჭერას იმ უფლებების რეალიზაციისთვის, რომლებიც კანონმდებლობით არის განსაზღვრული. მოსწავლეებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილია შინ სწავლების პრაქტიკა როგორც დისტანციური სწავლების გამოყენებით, ასევე პირისპირ, კვირაში მინიმუმ ერთი გაკვეთილის ჩატარებით საგნობრივი ჯგუფების ფარგლებში. სკოლა ქმნის სივრცეს მოსწავლეების ინოვაციური იდეებისა და ხედვების რეალიზაციისათვის. სკოლაში ყოველწლიურად ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა, რომელსაც აქვთ შესაძლებლობა შექმნას სხვადასხვა კლუბი, ასევე, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით იგეგმება სხვადასხვა შეჯიბრება, გამოფენა-გაყიდვა, საქველმოქმედო თუ დასუფთავების აქცია, ასევე გამწვანების აქცია და ა.შ
სკოლას აქვს შემუშავებული მოსწავლის მხარდამჭერი და გასაჩივრების მექანიზმები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;**

სკოლის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს არაფორმალური განათლება. კოლაში აქტიურად მიმდინარეობს საკლუბო საქმიანობა მოსწავლეთა ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით. გახსნილია არაერთი კლუბი, რომელშიც ჩართულნი არიან დიდი ენთუზიაზმით დაინტერესებული მოსწავლეები. STEAM კლუბის მიზანია, უზრუნველყოს ტექნიკური დისციპლინების მიმართ მოსწავლეთა ინტერესების გაზრდა, პრობლემების გადაჭრის კრეატიული და ინოვაციური მიდგომების, უნარების განვითარება, მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდა, საბუნებისმეტყველო საგნების ინტეგრირება, რათა ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკური გეოგრაფიის, მათემატიკის, ინჟინერიის ტექნოლოგიების, ხელოვნების საკითხების ურთიერთდაკავშირებით სამყარო აღიქვან, როგორც ერთიანი და მთლიანი; ხელი შეუწყოს აქტიური მოსწავლეების აღმოჩენას და მათი შემოქმედებითი უნარის განვითარებას სხვადასხვა ღონისძიების სახით. მოსწავლეები ხშირად მუშაობენ საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის აქტუალურ საკითხებზე და საკმაოდ წარმატებულადაც. სკოლა ECO კლუბის ფარგლებში მუშაობს ეკოლოგიური ცნობიერებისა და ცოდნის დონის ამაღლებისათვის მოსწავლეებში, ხელს უწყობს ნიჭიერი და აქტიური მოსწავლეების აღმოჩენასა და მათი შემოქმედებითი უნარის განვითარებას სხვადასხვა ღონისძიების სახით, ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების დამკვიდრებას, ხელშეწყობასა და მოტივაციის ამაღლებას. ლიტერატურული კლუბი „ცისფერი სარწყული“ მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების აღმოჩენას და მათი უნარების განვითარებას. მოსწავლეების არაფორმალური აქტივობები საკმაოდ ხშირია. ახლადაშენებულ სკოლის ვერანდაზე, რომელიც მოწყობილია კაფეს სტილში, იმართება არაერთი შეხვედრა (ლიტერატურული, ინტელექტუალური, სამეცნიერო, უბრალოდ იმართება საუბრები მათთვის საინტერესო თემებზე....), მათი მხარდაჭერა ხორციელდება სხვადასხვა სახით, ღონისძიებისთვის საჭირო ატრიბუტიკისთვის გამოიყოფა შესაბამისი რაოდენობის თანხა სკოლა აქტიურად სთავაზობს მოსწავლეებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თუ სხვა ორგანიზაციებიდან მოწოდებულ პროექტებს, აქტივობებს. მუდმივად ხორციელდება წარმატებული მოსწავლე-მასწავლებლების წახალისება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**
   მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრება მოსწავლეთა მომსახურების ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით ზეპირსიტყვიერად. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრების დახმარებით კითხვარების მომზადებას და მოსწავლეებისთვის ანონიმური გამოკითხვის ჩატარებას, რათა ამ უკუკავშირით შევძლოთ გავაუმჯობესოთ მომსახურება.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
2. რემედიაციის წესი;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. სადამრიგებლო პროგრამები;
5. კათედრის სხდომის ოქმები;
6. დისციპლიური კომიტეტის ოქმები;
7. საკლუბო მუშაობის მონიტორინგის წესი და კლუბების დებულებები;
8. ვიზუალური დათვალიერება;
9. შინაგანაწესი;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;**
   სკოლა მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების განვითარებაში. დამრიგებლები სადამრიგებლო საათის დროს მოსწავლეებს ესაუბრებიან მეწარმეობის უნარების განვითარებაზე, რათა მიიღონ ცოდნა და თავიდანვე გამოუმუშავდეთ უნარები, რომ მომავალში თავად გახდნენ მეწარმეები და დამსაქმებლები. მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოების მიზნით, განსაკუთრებით მე-9, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებთან, სკოლა უზრუნველყოფს სხვადასხვა უნივერსიტეტისა და პორფესიული კოლეჯის წარმომადგენლებთან შეხვედრას, ადგილზე მოსწავლეთა ვიზიტს. უნივერსიტეტები და პროფესიული კოლეჯები სკოლასთან თანამშრომლობით აწყობენ პრეზენტაციებს, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება აღმოაჩინონ თავიანთი ფიზიკური, კოგნიტური და პიროვნული მახასიათებლები და მოახდინონ მომავალი პროფესიის იდენტიფიცირება. მოსწავლეები აღნიშნულის საფუძველზე ეცნობიან უნივერსიტეტში განათლების მიღების პირობებს. სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული: გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან. თანამშრომლობის ფარგლებში უზრუნველყოფილია არაფორმალური ღონისძიებების წახალისება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა. არსებულმა პროფესიულმა სასწავლებელმა სკოლას საჩუქრად გადასცა ექვსი საკერავი მანქანა, რის მეშვეობითაც სკოლის მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა დიზაინის სამოსსა და აქსესუარებს. წლის ბოლოს მათ აღნიშნული პროფესიული სასწავლებლებისგან გადაეცემათ სიგელები.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებული
2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

   სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტებსა და კოლეჯებთან სასურველია შეხვედრების უფრო აქტიურად გამართვა. ამას ადასტურებს სკოლის კურსდამთავრებულების ვიზიტები სკოლაში, როგორც ამ უნივერსიტეტისა თუ კოლეჯის წარმომადგენლები და თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს. სამომავლოდ სკოლა გეგმავს კარიერული სერვისის განვითარებას. კერძოდ, ჩვენი სკოლის მე-9-მე-12 კლასების მოსწავლეებისთვის კარიერული დაგეგმვის სერვისის შემუშავებას, რაც გამოხატული იქნება უნივერსიტეტებთან და კოლეჯებთან აქტიური თანამშრომლობით, რომლის საფუძველზეც მოსწავლეები აღმოაჩენენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თავიანთი უნარებისა და ინტერესების შესაბამის პროფესიებს და დაფიქრდებიან იმ უმაღლეს სასწავლებლებზე, სადაც მომავალში ისწავლიან. სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებების გამართვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებული.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**
   სკოლა მუდმივად იღებს უკუკავშირს საკუთარი მოსწავლეებისაგან, მშობლებისგან. უკუკავშირის ფორმაა შეხვედრები დამრიგებლის საათზე. მშობელთა კრებები. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ხდება გასული წლის აკადემიური მოსწრებების შეჯამება და ქმედითი ინტერვენციების დაგეგმვა.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინტერვიუები მასწავლებელბთა,
2. ინტერვიუ კლუბის ხელმძღვანელებთან;
3. ინტერვიუ სპეც. მასწავლებელთან;
4. კლუბების საქმიანობის მონიტორინგის მასალები;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;**
   სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, აქვს დამტკიცებული მონიტორინგის წესი, ჰყავს შიდა მონიტორინგის ჯგუფი და ხდება ინკლუზიური განათლების ხარისხის შეფასება.
   თითოეულ სსსმ მოსწავლეს მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის საფუძველზე ჰყავს შესაბამისი ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: სპეც. მასწავლებლის ან/და ინდივიდულური ასისტენტი, ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველვყოფთ ამ საკითხის მოგვარებას. როდესაც მოსწავლის საჭიროება არ არის დადგენილი, მასწავლებელი და/ან მშობელი მიმართავს სპეციალურ მასწავლებელს მოსწავლის საჭიროების დადგენასთან დაკავშირებით. პირველ ეტაპზე ხდება სსსმ მოსწავლის საჭიროების დადგენა, იქმნება პირველადი მართვის გეგმა, რომელიც გულისხმობს საგნის მასწავლებლებზე სპეციალურ მასწავლებლისგან გაცემულ რეკომენდაციებს, მასზედ მორგებულ აქტივობებს, გაკვეთილებზე დასწრებას და საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის ჩართვის ხარისხის შემოწმებას. თუ მოსწავლის საჭიროება გამოიკვეთა, მშობლის თანხმობით ხდება მოსწავლის საგნობრივი , აკადემიური და კოგნიტური უნარების შეფასება, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე დგება ისგ ჯგუფი, რომლის წევრები არიან : დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, მშობელი , სპეცილური მასწავლებელი, და მოსწავლესთან მომუშავე დამატებითი სპეციალისტები, (საჭიროების შემთხვევაში), სადაც განიხილება მოსწავლის საჭიროებები და მასზე მორგებული სტატეგიები, სსსმ მოსწავლეებისათვის იქმნება ესგ-ზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელიც მორგებულია მოსწავლის საჭიროებებზე, გათვალისწინებულია მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციები. პერიოდულად ხდება აღნიშნული გეგმების მონიტორინგი, რომლის შედეგადაც მასში ხორციელდება ცვლილებები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეების წინსვლასა და განვითარებაზე. ასევე ხდება გაკვეთილებზე დასწრება, რესურს ოთახში დამატებითი მუშაობა სხვადასხვა კოგნიტური და აკადემიური უნარების განვითარებაზედა ქცევის კორექციაზე, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე სსსმ მოსწავლეებს უტარდებათ დამატებითი გაკვეთილები, მშობელთან შეხვედრა და ინფორმაციის გაცვლა. საჭიროების შემთხვევაში მშობლის ჩართულობითა და თანხმობით, მასწავლებლების ჩართულობით შესაძლებელია მოსწავლის გადაფასების მიზნით მოხდეს მულტიდისციპლინური გუნდისათვის მიმართვა, სსსმ მოსწავლესთან მომუშავე ყველა სპეციალისტი და მასწავლებელი აფასებს მოსწავლეს, დოკუმენტი იგზავნება მულტიდისციპლინურ გუნდში გადაფასების მოთხოვნით. გადაფასების შემთხვევაში ხდება გუნდის რეკომენდაციების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გათვალისწინება და სსსმ მოსწავლესთან მუშაობის ფორმების დახვეწა, საჭიროების შემთხვევაში ინდ. გეგმაში ცვლილების შეტანა.

ასევე შესაძლებელია სტატუსის მოხსნა მშობლის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებაზე დაყრდნობით ხდება და მოსწავლე აგრძელებს სწავლას ეროვნული სასწავლო გეგმით. მომავალში სკოლა გეგმავს სსსმ მოსწავლეების ქცევის კორექციის და თანაკლასელებთან სოციალიზაციის მიზნით არაფორმალურ გარემოში შეხვედრებს, „სამეგობრო წრე“, სადაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სპეციალისტები, მშობლები და დამრიგებლები. შესრულდება სადამრიგებლო საათით გათვალისწინებული ჯგუფური სხვადასხვა აქტივობები, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მშობლებიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება ის, რომ ისგ ჯგუფის შემადგენლობაში შედიან კლასის დამრიგებლები, მშობელები, საგნის მასწავლებლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, ის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან სსსმ მოსწავლეს. აღნიშნული ისგ ჯგუფები შეიმუშავებენ ინდ. გეგმას, რომელსაც ითანხმებს სამეურვეო საბჭო და მტკიცდება ედაგოგიური საბჭოს მიერ. აღნიშნულით დასტურდება, რომ სსსმ მოსწავლის განვითარების მხარდაჭერაში ჩართულია სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული. სკოლაში არსებობს ისგ ჯგუფი, რომელიც წელიწადში 4 ჯერ იკრიბება და განიხილება მოსწავლის ინდივიდუალური გეგმის განხორციელების პროცესი , საჭიროების შემთხვევაში მიზნების ცვლილება, ინფორმაციის გაცვლა მშობელთან და საგნის მასწავლებლებთან. სკოლის მასწავლებლებს და ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს სისტემატიური თანამშრობლობა აქვთ სსსმ მოსწავლესთან მომუშავე დამატებით სპეციალისტებთან (ქცევის, მეტყველების და აკადემიური უნარების თერაპევტებთან) და ერთობლივად განიხილება და იგეგმება მოსწავლესთან მუშაობის ეფექტური სტრატეგიები. წელიწადში ორჯერ და/ან საჭიროებისამებრ იგეგმება პირისპირ შეხვედრები მათთან, ძირითად შემთხვევაში მოდის ქცევის კონსულტანტი, ესწრება სსსმ მოსწავლეს გაკვეთილებზე, დეტალურად აღწერს ქცევას, (ეს პროცესი გრძელდება დაახლოებით 1 თვე) აძლევს მასწავლებლებს და სპეციალურ მასწავლებლებს რეკომენდაციებს ქცევის პოზიტიური მართვის შესახებ. სევე, საჭიროებისამებრ შეხვედრები ხდება ონლაინ პლატფორმით სსსმ მოსწავლეების სუპერვიზორებთან, განიხილება სსსმ მოსწავლის საჭიროებები და მიღწევები, ხდება ინფორმაციის გაცვლა, ერთობლივად იგეგმება სსსმ მოსწავლესთან მუშაობის სტრატეგიები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასკოლო საზოგადოებას, რომლის წევრები არიან: დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელები და ადმინისტრაცია, თითქმის ყოველდღიური კომუნიკაცია აქვთ მშობელთან, საგაკვეთილო პროცესის შემდეგ, მასწვლებლები ინფორმაციას აწვდიან მშობელს დღის განმავლობაში მოსწავლის (აკადემიურ და კოგნიტურ) მიღწევებზე , რთულ ქცევაზე, სპეციალური მასწავლებლის დახმარებით აძლევენ რეკომენდაციებს დავალებების ეფექტურად შესრულებისთვის და რთული ქცევის კორექციაზე , თავის მხრივ მშობელი მაქსიმალურად ჩართულია სწავლების პროცესში, ითვალისწინებს მასწავლებლების რეკომენდაციებს და უზიარებს მასწავლებლებს საკუთარ გამოცდილებას სახლის გარემოში გამოყენებული ეფექტური სტრატეგიების შესახებ.

სკოლაში პერიოდულად ტარდება ცნობიერების ამაღლების მიზნით ღონისძიებები- დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, აუტიზმის ცნობადობის ამაღლების დღე, შშმ პირთა უფლებების საერთაშორისო დღე, წინასწარ გაწერილია აქტივობები სხვადასხვა კლასში მაგალითად ინფორმაციის მიწოდება, ჯგუფური მუშაობა, აუდიო ვიდეო მასალების გაცნობა.

ტიპიური და სსსმ მოსწავლეების ეფექტური კომუნიკაციის მიზნით ტარდება არაფორმალური აქტივობები, ექსკურსიები, კურიკულუმების შესაბამისი გასვლები მუზეუმები, სხვადასხვა დაწესებულებებში.

სსსმ მოსწავლეების სკოლაში ეფექტურად ჩართულობისთვის ხორციელდება სპეცილური მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრება და დამატებით საჭიროებისამებრ მასთან რესურს ოთახში მუშაობა აკადემიურ და კოგნიტური უნარების განვითარებაზე.

რესურს ოთახში არსებობს სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული აქტივობები, რესურსი, ვიზუალური-თვალსაჩინო მასალები, „ მასტერების ფურცელი „ რომელიც გულისხმობს მოსწავლის უკვე მიღწეული მიზნების ცხრილს, რომელიც მშობელთან ერთად განიხილება თვეში ერთხელ, ასევე მშობელს ეძლევა მიზნის შესაბამისი აქტივობები და რეკომენდაციები.

მომავალში სკოლა გეგმავს აქტიურ შეხვედრებს მშობლებთან ცნობიერების ამაღლების მიზნით, რათა სამომავლოდ თანამშრომლობა და კომუნიკაცია უფრო ეფექტური და მიღწევადი გახდეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

3. ინტერვენციის გეგმა;
4. სამოქმედო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. მონიტორინგის წესი;
6. მონიტორინგის ჯგუფის შემნის ბრძანება;
7. სპეც. მასწავლებლების ხელშეკრულებები;
8. რესურს ოთახის ვიზუალური დათვალიერება;
9. ინკლუზიური სწავლების განვითარების გეგმა;
10. ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაცია.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლა ამ ეტაპზე ახორციელებს მოსწავლეებისათვის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით არასავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურებას, როგორიცაა გახანძლივებული და კვების ობიექტი. სკოლას ორივე შენობაში აქვს ბუფეტი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში შესაბამისი საქმიანობის ფარგლებში რეგისტრირებული პირი. კვების ობიექტებში კანონმდებლობით დადგენილი წესით შემოაქვთ საკვები. დირექცია რეგულარულად შეამოწმებს, თუ როგორ არის დაცული სანიტარული ნორმები, ასევე შემოწმდება საკვების ნუსხა, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს ნორმების ფარგლებში. აღნიშნულ კვების ობიექტებს ამოწმებს სურსათის ეროვნული სააგენტოც. გახანგრძლივებული ფუნქციონირებს დილის ცხრის ნახევრიდან გაკვეთილების დასრულებამდე. მათი სამუშაო გრაფიკი მორგებულია პირველი ცვლის მოსწავლეებისთვისა და, შესაბამისად მეორე ცვლის მოზარდებისთვისაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არის ნებაყოფლობითი. მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. მშობლებთან გაფორმდება ხელშეკრულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

სკოლის ხელმძღვანელის განმართებით, სამომავლოდ სკოლა გეგმავს კვლევის შედეგად გამოვლენილი სურვილის შემთხვევაში შესთავაზოს მოსწავლეებს არასავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურება. ვფიქრობთ ისეთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სერვისის შეთავაზებას, რომლის განხორციელებისთვისაც არ არსებობს უფლების მოპოვების ვალდებულება, თუმცა მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ყველა იმ ნორმის დაცვა, რომელიც მოსწავლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და მისი ინტერესების საფუძველზეა შეთავაზებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2023-2024 სასწავლო წლისთვის შედგენილი ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
2. რესურს ოთახი;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. მშობლების ხელშეკრულებები;
5. გახანგრძლივებული კლასის მასწავლებლის ხელშეკრულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებთი საგანმანათლებლო პროგრამისთვის)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. მაგალითად, დოკუმენტში განსაზღვრულია, თუ ვინ, როგორ და რატომ არის ჩართული კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში და როგორია კურიკულუმის შემუშავების პროცესი (ვის რა ფუნქცია აქვს; როგორ ხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები) და მისი რეალიზების დრო და სივრცე. სკოლის მიერ წარმოდგნილ დოკუმენტში აღწერილია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის როლი კურიკულუმის შემუშავება/განვითარების პროცესში და შესაბამისად იკვეთება მათი ინტერესების, შეხედულებების, შსაძლებლობებისა პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობაც.

2.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.....

2. სკოლამ კურკულუმი შიმუშავა სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებითა და ჩართულობით; საკუთარი გამოცდილებისა და დაკვირვებების შედეგების ანალიზზე დაფუძნებით შეადგინა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტი და გაითვალისწინა მშობლთა და მოსწავლეთა ინტერესები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. კერძოდ, მშობელთა კრებებზე, ანკეტირებითა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თუ ვერბალური გამოკითხვით ირკვევა მშობელთა ინტერესები, ვერბალური გამოკითხვით დგინდება მოსწავლეთა საჭიროებები და სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობით ვითარდება სასკოლო კურიკულუმი.ექსპერტებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, მსჯელობენ და თანხმდებიან, რა მეთოდებით იმუშავებენ და რომელ აქტივობებებს განახორციელებენ კლასებში. კურიკულუმში ასევე ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა.

2.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.....

3. სკოლას აქვს საგნობრივ კურიკულუმებსა და თემატურ მატრიცებზე მუშაობის გამოცდილება და ასევე, მათი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მაგალითად, სკოლას ამის დასტურად წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმები. თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, ამასთანავე, მშობლების ჩართულობასა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას. ასევე აღნიშნულია, რომ ისინი აკვირდებიან გაკვეთილებს „კრიტიკული მეგობრის“ სტატუსით და გამოვლენილ წარმატებულ გამოცდილებასა და ხარვეზებს იყენებენ ახალი კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში.....**2.1.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4... სასკოლო კურიკულუმის შედგენის პროცესში თანამშრომლობს მთელი სასკოლო საზოგადოება, რომელსაც წინა წლებში, სასკოლო-სასწავლო გეგმაზე მუშაობისას, შეძენილი აქვს თანამონაწილეობის მნიშვნელოვანი გამოცდილება (მაგალითად, რამდენჯერმე გათვალისწინეს მოსწავლეთა თვითმმართველობის მოთხოვნები სპორტულ თამაშებთან დაკავშირებით). სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს საშუალება, დააკვირდეს კურიკულუმის განხორციელების პროცესს, გამოხატოს საკუთარი თვალსაზრისი და ჩაერთოს მის განახლება-გადახალისებაში. კურიკულუმის განხორციელების პროცესი (შექმნილი პროდუქტები, გამართული ღონისძიებები...) საჯაროვდება თიმსისა და სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში, ასევე საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისათვის. სასკოლო თემის წევრებს შექმნილი პროდუქტის მიმართ მიკუთვნებულობის განცდა აქვთ.

2.1.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.. მშობელთა კრების ოქმი; სამუშაო შეხვედრის ოქმი.; დანართი- კურიკულუმის-განვითარების-მეთოდოლოგია N20-საჯარო;

სტრატეგიული-გეგმა.-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დანართი- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა-2023-2024სასწ.წ;

დანართი N1 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;

დანართი-N10 საჯარო სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-23წწ;

დანართი N4 ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საგნობრივ კურიკულუმებში შემოთავაზებული დავალებები, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუები აჩვენებს, რომ მოსწავლე აღიარებულია, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური სუბიექტი, ცოდნის კონსტრუირების პროცესის წარმმართველი. კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები, რომლებიც შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინტერესებს, მზაობასა და შესაძლებლობებს.სკოლის მიერ წარმოდგენილი შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.ექსპერტთა შეფასებების მიხედვთ, წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, მოცემულია თემები, მუშავდება გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, შესაბამისი ქვეცნებებით, განსაზღვრულია შუალედური მიზნები, კურიკულუმის ჩარჩოებს თან ახლავს რამდენიმე კოპმლექსური დავალება. კათედრის მიერ შერჩეულ დამატებით რესურსებში წარმოდგენილია საინტერსო თვალსაჩინოებები, რომელიც მოსწავლეებისათვის მამოტივირებელია და ხელს უწყობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წინარე ცოდნის გააქტიურებას, მრავალმხრივი უნარების განვითარებას და დამოუკიდებლად ცოდნის აგებას.მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ითვალისწინებენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილი კურიკულუმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს.

2.1.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.. კურიკულუმში სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია მიზნობრივი ორიენტირები. თემები, კონტექსტმაგალითები (ძირითადი და დამატებითი რესურსები), საგნობრივი საკითხები აჩვენებს მიზნობრივ ნიშნულამდე მისვლის გზებს. ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად სასწავლო პროცესი წარიმართება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. კურიკულუმში შემოთავაზებული დავალებები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაძლებლობას ქმნის.....ინტერვიუზე მასწავლებლებმა ისაუბრეს სკოლაში განხორციელებული არაერთი სასწავლო თუ სასკოლო პროექტის შესახებ, რაც ადასტურებს, რომ არის გამოცდილება და მზაობა იმისა, რომ დაიგეგმოს და განხორციელდეს ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფუნქციური უნარების განვითარებს.

2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ, რომ კლასშიი არიან სხვადასხვა მზაობის მოსწავლები და ადგნენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს, ახდენენ აქტივობებისა და დავალებების პროდუქტების ასევე საჭიროების შემთხვევაში შინაარსის მოდიფიცირებას. კურიკულუმში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც განათლების თანამედროვე პარადიგმების განხორციელების საშუალებას იძლევა, ეს კი თავისთავად გულისხმობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები; მათთან პედაგოგები მუშაობენ ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო გეგმით. საგაკვეთილო პროცესში იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, მათ უნარებსა და შესაძლებლობებს. ამასთანავე მიმართავენ რემედიაციას. ინტერვიუს შედეგადაც დადგინდა, რომ მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეებს სწავლის პროცესში, აკეთებენ ჩანაწერებს და ეს ეხმარება მათ საკუთარი მზაობის დადგენაში, რათა შესაბამისი სირთულის დავალება შესთავაზონ მათ. ასევე, სთავაზობენ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის მომზადებას მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე.

2.1.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებული.

4. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა ხელმძღვანელობს შეფასების სამკომპონენტიანი მოდელით და ყველა კომპონენტს აქვს თანაბარი წილი. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რომლის დანიშნულებაც მოსწავლის პროგრესის გაზომვაა. განმსაზღვრელი შეფასებით კი ხდება მოსწავლის ცოდნის შეფასება საგნობრივ სტანდარტთან მიმართებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებისთვის. წარმოდგენილ რუბრიკბში ჩანს, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, ასევეე გასაუბრებით დადგინდა, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია და მოიცავს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვა/რევიზიის ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას, რაც თავისთავად უზრუნველყოფს ახალი ასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში შედეგების მონიტორინგს, წინარე გამოცდილების ანალიზს და გაუმჯობსების გზების ძიებას.ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს წინა წლებშიც აქვთ განხორციელებული კომპლექსური გაკვეთილები. ისინი ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რათა გააანალიზონ, რომელი კომპლექსური დავალებები იყო მეტად შედეგიანი, რომელმა უფრო მეტი ინტერესი და მოტივაცია გამოიწვია მოსწავლეებში. აპირებენ შეავსონ წარმოდგენილი კურიკულუმები შერჩეული კომპლექსური დავალებებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტშიც განსაზღვრულია, რომ კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით. აქედან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

2.1.2.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.დანართი- კურიკულუმის-განვითარების-მეთოდოლოგია
დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
სტრატეგიული-გეგმა.-სსიპ-ქალაქ-
დანართი- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა-2023-2024სასწ.წ;
დანართი N1 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;
დანართი-N20 საჯარო სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-23წწ;
დანართი N4 ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტების, სასწავლო პროექტების, კომპლქსური დავალებების პირობების და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალების/აქტივობების გაანალიზებით, მასწავლებლებთან გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმილი კურიკულუმის განხორცილება მასწავლებელს საშუალებას მისცემს მოსწავლე ჩართოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას აძლევს მოსწავლეს, რომ გაეცნოს ახალ ინფორმაციას, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით, იმსჯელოს ლოგიკურად და გააკთოს დასკვნები. მასწავლებლები იაზრებენ სასწავლო პროცსში თავის როლს, და გვევლინებიან პროცესის დამგეგმავისა და წამმართველის როლში, ხოლო მოსწავლე არის პროცესის ძირითადი აქტორი. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ეს დასტურდება იმით, რომ კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალება კი თავისი ბუნებით საშუალებას აძლევს მოსწავლეს იფიქროს, იმსჯელოს, გადაჭრას პრობლემები. ასევე, ინტერვიუზე გამოიკვეთა სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიერ განხორციელებული სხვადასხვა საინტერესო პროექტი, გასვლითი გაკვეთილები მუზეუში. ინტეგრირებული გაკვეთილები, რაც ადასტურებს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში აქტიურ ჩართულობას.

2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმაში დეკლარირებულია, რომ ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. უფრო კონკრეტულად კი კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. აქტივობები ემსახურება წინარე ცოდნის გააქტიურებას და მასზე ახალი ცოდნის დაშენებას. სავალდებულო თემების ფარგლებში ასახული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობები ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც დინამიური ცოდნის საფუძველს ქმნის

2.2.1.2..ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების პირობებში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, კერძოდ პრეზენტაციისას მოსწავლეს უწევს რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. შეკითხვები, რომელიც უნდა გაითვალისწინოს მოსწავლემ კომპლექსური დავალების წარდგენისას ასაკობრივი დონის შესაბამისია და მოსწავლეს უწევს გააკეთოს შესრულებული დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა. მასწავლებლები ისეთ აქტივობებსა და დავალებებს სთავაზობენ მოწავლეებს, რომლებიც ეხმარება სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას, ახალისებს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას, ცნობისმოყვარეობას და თვითრეგულირებად სწავლას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ხდება მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი. მასწავლებლებს აქვთ მზაობა სხვა მიმდინარე აქტივობების დროსაც წაახალისონ მოსწავლის ფიქრი სწავლის სწავლაზე/მეტაკოგნიციაზე. იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტიანია მისი მცდელობები, რა იქნება თუ შეცვლის სტრატეგიას. ასევე, აპირებენ ხშირად გამოიყენონ თანატოლთა შეფასება და თვითშეფასების რუბრიკები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე.

2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4... სკოლის მიერ წარმოდგრნილ საგნობრივ კურიკულუმებშიში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები მოსწავლეებისგან მოითხოვს როგორც დეკლარატიულ და პროცედურულ, ასევე ფუნქციურ, ქმედებაში გადატანილ ცოდნას. პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა/დასაბუთება რაც პირდაპირ მიემართება ამ თუ მ საგნის გრძელვადიან მიზნებს.ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები მათ ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურების საშუალებას აძლევს. მოსწავლეები არა მხოლოდ ფაქტობრივ მასალას ეცნობიან და ამუშავებენ, არამედ მიღებული ცოდნის ინსტრუმენტად გამოყენება უწევთ სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ამის პირობას ქმნის. თითოეული კომპლექსური დავალება ეფუძნება ცოდნის სამივე კატეგორიას. შესასწავლი თემები უპირველესად საჭიროებს ტექსტის შინაარსის გაგებას, ანუ მოსწავლისაგან მოითხოვს ფაქტობრივ ცოდნას, ხოლო ტექსტების სიღრმისეული ანალიზი - დაფიქრებასა და პასუხის გაცემას შეკითხვებზე: როგორ გავაკეთო? როგორ შევასრულო? სასწავლო პროცესი მიმართულია იქითკენ, რომ მოსწავლეს გამოუმუშავოს უნარები, რომ მიღებული ცოდნა და გამოცდილება პრაქტიკაში გამოიყენოს, დაძლიოს ცხოვრებისეული სირთულეები

2.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით.
თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც წარმოადგინა სკოლამ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას აძლევს მასწავლებელს.
როგორც ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, კურიკულუმებში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია. მოსწავლე ორიენტირებული ხდება პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდუქციისა ეს კი მისგან მოითხოვს არსებული გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამრიგად, სამივე საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

2.2.1.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწუებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;

კომპლექსური დავალებების ნიმუშები; ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;

განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები; მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დანართი- კურიკულუმის-განვითარების-მეთოდოლოგია N20-საჯარო;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და სასკოლო სასწავლო გეგმის გაანალიზებით დადგინდა, რომ სკოლაში აქტიურად მუშაობს საგნობრივი კათედრა. კათედრაზე ხდება კურიკულუმებზე მუშაობა და კომპლექსური დავალებების დაგეგმვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე, რომ თემის დამუშავების პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები. ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ქვეცნებები. რელევანტური კავშირი ჩანს სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. კათედრას აქვს მზაობა აქტიურად გააგრძელოს მუშაობა, დაგეგმოს კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

2.2.2.1.ინდიკატორ დაკმაყოფიილებულია

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, ვინაიდან ის ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. საგნობრივი კრიკულუმის ჩარჩოში შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, კომპლქსური დავალებების პირობები მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე როლს, წარმოადგენს სასწავლო მიზნის მისაღწევად...კურიკულუმებში სთავაზობენ დავალებებს, რომლებშიც გამოწვევებთან გამკლავება უწევთ მოისწავლეებს, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. შემოქმედებით-შემეცნებითი პროდუქტის შექმნის პროცესში ფაქტების ანალიზი, იდეების გენერირება და ორგანიზება, მოსაზრებების დაცვა, შედარება, დასკვნების გამოტანა, არგუმენტების შეფასება და პრობლემების გადაჭრა უწევთ მოსწავლეებს, ერთმანეთთან თანამშრომლობენ ამ პროცესში და მართავენ თავიანთ სწავლის პროცესს. კომპლექსური დავალებების გარდა, მართავენ სხვადასხვა ღონოსძიებას, რომლებიც მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას ემსახურება.

2.2.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასკოლო სასწავლო გეგმის და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გააზრებული აქვს მოწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მნიშვნელობა და განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ არის ორიენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, ის პარალელურად მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. მასწავლებლებთა საუბრისას გამოიკვეთა , რომ ისინი მოსწავლეების შეფასებისას იყენებენ არამარტო შესრულებულ დავალების შეფასების რუბრიკებს არამედ აკვირდებიან მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში, თვალს ადევნებენ მოსწავლეთა სოციალურ უნარებს, თვითრეგულირებად სწავლის პროცესს, დამოუკიდებლობას, აზროვნების პროცესს (ვარაუდის გამოთქმა, ფაქტებისა და არგუმნტების მოძიება და დასაბუთება - მათემატიკის სამიზნე ცნებების დაუფლება).ინტერვიუს მიხედვითაც ირკვევა, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილად არის გააზრებული. შეფასების პროცესში აქტიურადაა ჩართული მოსწავლე, რაც მოსწავლის მიერ სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასებას და მის მიერ გააზრებული ნაბიჯების გადადგმას განაპირობებს, ეს კი - მოსწავლის პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს. გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, თუ როგორი მნიშვნელოვანია, მოსწავლემ გაცნობიერებულად მართოს სწავლის პროცესი _ დაგეგმოს, შეაფასოს და მონიტორინგი გაუწიოს, რომ მოსწავლეს გამოუმუშავდეს შეცდომის დანახვისა და გამოსწორების უნარი, გაუჩნდეს წარმატების იმედი.

2.2.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის (ბრძანება N2-363, 19 სექტემბერი, 2023 წელი) დანერგვის მიზანია, რომ სკოლამ დაადასტუროს შეფასების პროცესის სანდოობა, ვალიდურობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა. ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებების სიზუსტე. შესაძლებლობა, რომ შეფასების ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე (მაგ. სემსტრული გამოცდის შემთხვევაში), სკოლის დირექციის ინიციატივით (მაგ. წლიური გამოცდა, დიაგნოსტიკური წერების ჩატარება და მათი ანალიზი მიმდინარეშეფასებებთან) ან გეგმიურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(საგნობრივი კათედრის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს) შეფასების სისტემას უფრო გამჭვირვალეს, ვალიდურსა და ობიექტურს ხდის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების კარგი გამოცდილება აქვთ, მოსწავლეები იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს (მასწავლებლები აცნობენ) და შეესაბამისად უჩნდებათ თანამონაწილეობის, სამართლიანობის განცდა.

2.2.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი (ბრძანება N2-363, 19 სექტემბერი, 2023 წელი), სადაც განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, ვერიფიკაციის პრინციპები, პროცესი და შეფასების ვერიფიკაციის პროცესის განმახორციელებელი პირები. ვერიფიკაცია დაფუძნებული იქნება შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებაზე, შეფასების პროცესის და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული დოკუმენტით სკოლა ადასტურებს მზაობას განახორციელოს შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, თუმცა მისი ფუნქციონირება მიდინარე წარმოების ფარგლებში არაა შეფასებადი.

2.2.2.5..ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. დაწესებულებას მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადა განსაზღვრული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით და ის შეადგნს არანაკლებ 3 წელს. სკოლა ახორციელებს შეფასებებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებასა და სათანადო აღრიცხვას და კანონმდებლობის ფარგლებში დადგენილი წესით გამოსცემს ბრძანებებს. სკოლაში ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მათი აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.

2.2.2.6.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 15-შეფასების-სისტემის-ვერიფიკაციის-მექანიზმი N20-საჯარო სკოლა;

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

დანართი- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1... სკოლის მისია და ხედვის ფორმულირებიდან ჩანს რომ სკოლა ორინტირებულია მოსწავლეზე, იღებს პასუხისმგებლობას რომ მოსწავლეს მისცეს ისეთი განათლება, რომელიც საშუალებას მისცემს თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში, აღზარდოს პასუხისმგებლიანი, კანონმორჩილი, კონკურენტუნარიანი, უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებული მოქალაქეები. შესაბამისად ცდილობს შექმნას მოსწავლის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლეები სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით მუშაობენ ინკლუზიური განათლების პროგრამაზე, შეიმუშვბენ შესეაბამის კომპლექსურ დავალებებს. ვიზიტისას კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები პოზიტიურ კლიმატს ქმნიან საინტერესო აქტივობებითა და მოსწავლეებთან პოზიტიური დამოკიდებულებით, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებითა და მათი ინიციატივების წახალისებით. დაგეგმილი კომპლექსური დავალებების სათანადოდ განხორციელება პოზიტიური საკლასო კლიმატის შექმნის შესაძლებლობაა, რადგან მათ უწევთ აქტიურ შემეცნებით-შემოქმედებით პროცესებში ჩართვა _ ფაქტების ანალიზი, მოსაზრებების დაცვა, იდეების გენერირება, თანამშრომლობა და ა.შ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების არაერთი მაგალითი გაიხსენეს. სასწავლო პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნას ხელს უწყობს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი, სპორტული ინფრასტრუქტურა და სხვა.

2.2.3.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრასთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე, რისთვსაც საგაკვეთილო პროცესში იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ახალ ცოდნას აშენებენ წინარე გამოცდილებაზე და მოსწავლეებს სთავაზობენ ამოცანებს მათთვის ნაცნობი კონტექსტის გათვალისწინებით. მასწავლებლები ცდილობენ სასწავლო პროცესი წარმართონ მოსწავლეზე ორიენტირებულად რისთვისაც გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილების ჩატარებას და თანამედროვე ტექნოლოგიების ჩართვას სასწავლო პროცესში ამის დადასტურებაა ერთის მხრივ მასწავლებლებთან გასაუბრება და მეორეს მხრივ სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმაში ასახული აქტივობები.

2.2.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლაში კათედრები თანამშრომლობენ შეთანხმებულად. ერთობლივად გეგმავენ ამა თუ იმ აქტივობას და მიღებულ შედეგებს უზიარებენ ერთმანეთს, გეგმავენ ხარვეზების აღმოფხვრის გზებს. თანამშრომლობითი პროცესი წარმოადგენს სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს, რაც ზემოთ თქმულთან ერთად, ითვალისწინებს ურთიერთდასწრებებს, ჯანსაღ კრიტიკას და მიმღებლობას. ცხადია, ყოველივე ეს დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე. მაგალითად, პედაგოგები ჩართულები არიან USAID პროექტში და გადიან ლიდერი მასწავლებლის ტრენინგებს. პედაგოგები სისტემატურად ახორციელებენ კოლეგებთან შეხვედრებს და უზიარებენ მათ გამოცდილებას. სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია გამოცდილების გაზიარება და ურთიერთდახმარება, ვინაიდან ეს ხელს უწყობს სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ამაღლებას.

2.2.3.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის პედაგოგებისათვის მნიშვნელოვანია კლასის და სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის შენარჩუნება, შესაბამისად საგაკვეთილო პორცსში ცდილობენ შექმნან მამოტივირებელი, პოზიტიური გარემო რისთვისაც მოსწავლეებს სთავაზობენ დავალებებს მათი ინტერესებიდან გამომდინარე, საგაკვეთილო პროცესში რთავენ ტექნოლოგიებს, დამსახურებულად აქებენ მოსწავლეებს, სასწავლო პროცესს აგებენ მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით. კლასისა და სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას განაპირობებს ასევე მასწავლებლების თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, რაც მოსწავლბისათვის არის კარგი მოდელი. თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლის/კლასის დონეზე თითოეულ მოსწავლეს აქვს საშუალება თავისუფლად გამოთქვას აზრი, რომელსაც პატივისცემით მოუსმენენ. სკოლაში შემუშავებულია კონფლიქტების მართვისა და პრევენციის რეგულაციები. ხორციელდება სხვადასხვა სასწავლო თუ სასკოლო პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს სხვადასხვა საინტერესო აქტივობების განხორციელებას, გუნდურ მუშაობას, თანამშრომლობას, რაც, ასევე, ხელს უწყობს პოზიტიური სასკოლო კლიმატის ჩამოყალიბებას.

2.2.3.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო-სასწავლო გეგმა;
სადამრიგებლო საათის შინაარსი;
სამუშაო შეხვედრების ოქმები;
საპროექტო და საკლუბო მუშაობის ანგარიშები ;
ინტერვიუს შედეგები
დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
დანართი- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;.
დანართი N3 შინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვთარების მეთოდოლოგიით ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებებით. გამომდინარე აღნიშნულიდან, სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ განახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას. მიმდინარე წარმოების ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია მონიტორინგი და შეფასება, თუმცა ის უფრო ზოგადი სახისაა. სკოლას მიეცა რჩევა, დააზუსტოს მონიტორინგის ფორმები, ვადები და განმახორციელებელი პირები.

2.3.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.. სკოლის მიერ წარმოდგნილი დოკუმენტაციის, მასწავლებლებთან გასაუბრების და სკოლის არსებული პრაქტიკის ანალიზით გამოიკვეთა, რომ სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესი (კათედრების მუშაობა, სასწავლო პროგრამების შემუშავება, საგაკვეთილო პროცესის წარმართვა, მოსწავლეთა შეფასება, კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და სხვა), რომელიც ემსახურება სკოლაში მიმდინარე პროცესების თვალის მიდევნებას, შედეგების ანალიზსა და შეფასებას მიემართება პერსონალისა და მოსწალეთა მხარდაჭერას, შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით მონიტორინგის ერთერთი დანიშნულებაა ასევე სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის).

2.3.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის პროცესში. მასწავლებლები მონიტორინგისა და შეფასების პროცესს უყურებნ როგორც შეცდომების აღმოჩენის საშუალებას კი არა, არამედ ხარვეზების გამოსწორების, შეცდომებზე სწავლის მექანიზმს. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ მასწავლებლები ერთად გეგმავენ, თუ რა ინტერვენციებია გასატარებელი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე. (პირველი სემესტრის დასაწყისში კლასების მიხედვით კომპლექსური დავალებების შერჩევა და განხორციელება, სემესტრის დასასრულს ამ დავალებების მონიტორინგი; მეორე სემესტრის ბოლოს კი ყველა შემაჯამებელი დავალების ანალიზი და მონიტორინგი). კათედრის შეკრება და კათედრის სხდომაზე ჩატარებული მუშაობის მონიტორინგის შედეგების განხილვა ასევე მიემართება პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრის გზების ძიებას

.2.3.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

დანართი- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ექსპერტთა შეფასბით, პედაგოგები არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე , კურიკულუმის შეფასებისას ეყრდნობიან სხვადასხვა წყაროს. მათ შორის: მოსწავლეთა საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების (განმავითარებელ და/ან განმსაზღვრელ შეფასებებს კლასების მიხედვით) და მოსწავლეთა ჯგუფურ მუშაობაში ჩართულობის შედგებს. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების ჩართულობას და მოტივაციას, რისთვისაც იყენებენ კრიტიკული მგობრის ინსტიტუტს. სემესტრისა და წლის ბოლოს მოსწავლეების შედეგების დინამიკას.

2.3.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. შეფასების განხორციელბისას მასწავლებლები ითვალისწინებენ უპირატესად სტანდარტის შედეგებს, რაც ჩანს მათ მიერ შემუშავებულ შეფასების რუბრიკბში. განმავითარებელი კომნტარის გაკეთებიისას დამატებით ითვალისწინბენ მოსწავლის ემოციურ მხარეს, შესაძლებლობებს, პრიორიტეტულ საჭიროებებს.ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ მასწავლებლები იაზრებენ, რომ არსებობს სხვადასხვა წინაპირობა და ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკრეტულ მოცემულობაზე და სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. აპირებენ, წინასწარ განსაზღვრონ, თუ როგორ მოიპოვონ მოსწავლეების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია. დამრიგებლები სასწავლო წლის ბოლოს წერენ მოსწავლეთა დახასიათებას, რომელიც ასევე, შესაძლოა, გამოყენებული იყოს, როგორც შეფასების წინაპირობა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა, შეფასების ფოკუსის განსაზღვრისა, მიზნის შესაბამისად.

2.3.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.. მოსწავლის შეფასებისას სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით გამოიყენებ მოსწავლზე დაკვირვება საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო პროცესში, მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, არაფორმალურ აქტივობებში, მოსწავლეთა შეფასების და თვითშეფასების რუბრიკების შედეგები/ანალიზი, მოსწავლეთა ინტრესების კვლევა გამოკითხვით, მშობელთან კომუნიკაციის შედეგები.

.2.3.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. გათვალისწინებულია სხვადასხვა გარემო ფაქტორები. მშობლებისა და მოსწავლეების პრობლემები, მათი იდენტიფიცირება. დამრიგებლების მიერ ყოველწლიური მოსწავლის დახასიათება ემსახურება მოსწავლის პიროვნული და თვისობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირებას და მათზე დაკვირვებას. შემაჯამებლების ანალიზებიდან და საგნის მასწავლებლის ანგარიშებიდან სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ემსახურება მოსწავლეთა აკადემიური შედეგების იდენტიფიცირებას. სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ მოსწავლეზე და მის სასწავლო გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ სხვადასხვა ფაქტორები. ამიტომ ფიქრობენ, რომ შეფასებისას მოხდეს ამ ფაქტორის გათვალისწინება

2.3.2.4..ინდიკატორი დაკმაყოფილებლია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

დანართი- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად; მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია და ის მოიცავს დემინგის ციკლს: კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია.მონიტორინგისა და შეფასების ნაწილი სწორედ კურკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომნდაციო პაკეტის შემუშავებას ემსახურბა. მიმდინარე წარმოების ფარგლბში, პირველადი ავტორიზაციის პირობებში აღნიშნული ინდიკატორი არაა შეფასებადი თუმცა სკოლის მზაობა იკვეთება
2.4.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხდვით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავება მოხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების და ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების, სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სკოლა გამოხატავს მზაობას კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დააფუძნოს წინარე გამოცდილებას და გაითვაისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. მიმდინარე წარმოების (პირვლადი ავტორიზაცია) ფარგლებში ინდიკატორი არაა შეფასებადი.**2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დანართი- კურიკულუმის-განვითარების-მეთოდოლოგია

სტრატეგიული-გეგმა.-სსიპ-ქალაქ-

დანართი- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა-2023-2024სასწ.წ;

დანართი N1 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;

დანართი-N10 საჯარო სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-23წწ;

დანართი N4 ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სასკოლო კურიკულუმი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საგანმანათლებლო პროგრამისთვის)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
6. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
7. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
8. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. მაგალითად, დოკუმენტში განსაზღვრულია, თუ ვინ, როგორ და რატომ არის ჩართული კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში და როგორია კურიკულუმის შემუშავების პროცესი (ვის რა ფუნქცია აქვს; როგორ ხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები) და მისი რეალიზების დრო და სივრცე. სკოლის მიერ წარმოდგნილ დოკუმენტში აღწერილია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის როლი კურიკულუმის შემუშავება/განვითარების პროცესში და შესაბამისად იკვეთება მათი ინტერესების, შეხედულებების, შსაძლებლობებისა პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობაც. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.....

2. სკოლამ კურკულუმი შიმუშავა სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებითა და ჩართულობით; საკუთარი გამოცდილებისა და დაკვირვებების შედეგების ანალიზზე დაფუძნებით შეადგინა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტი და გაითვალისწინა მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. კერძოდ, მშობელთა კრებებზე, ანკეტირებითა თუ ვერბალური გამოკითხვით ირკვევა მშობელთა ინტერესები, ვერბალური გამოკითხვით დგინდება მოსწავლეთა საჭიროებები და სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობით ვითარდება სასკოლო კურიკულუმი.ექსპერტებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, მსჯელობენ და თანხმდებიან, რა მეთოდებით იმუშავებენ და რომელ აქტივობებებს განახორციელებენ კლასებში. კურიკულუმში ასევე ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ასევე, მასწავლებლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა.

2.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს საგნობრივ კურიკულუმებსა და თემატურ მატრიცებზე მუშაობის გამოცდილება და ასევე, მათი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მაგალითად, სკოლას ამის დასტურად წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმები. თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, ამასთანავე, მშობლების ჩართულობასა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას. ასევე აღნიშნულია, რომ ისინი აკვირდებიან გაკვეთილებს „კრიტიკული მეგობრის“ სტატუსით და გამოვლენილ წარმატებულ გამოცდილებასა და ხარვეზებს იყენებენ ახალი კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

2.1.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4... სასკოლო კურიკულუმის შედგენის პროცესში თანამშრომლობს მთელი სასკოლო საზოგადოება, რომელსაც წინა წლებში, სასკოლო-სასწავლო გეგმაზე მუშაობისას, შეძენილი აქვს თანამონაწილეობის მნიშვნელოვანი გამოცდილება (მაგალითად, რამდენჯერმე გათვალისწინეს მოსწავლეთა თვითმმართველობის მოთხოვნები სპორტულ თამაშებთან დაკავშირებით). სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს საშუალება, დააკვირდეს კურიკულუმის განხორციელების პროცესს, გამოხატოს საკუთარი თვალსაზრისი და ჩაერთოს მის განახლება-გადახალისებაში. კურიკულუმის განხორციელების პროცესი (შექმნილი პროდუქტები, გამართული ღონისძიებები...) საჯაროვდება თიმსისა და სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში, ასევე საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისათვის. სასკოლო თემის წევრებს შექმნილი პროდუქტის მიმართ მიკუთვნებულობის განცდა აქვთ.აღნიშნულის შესაბამისად საბაზო საფეხურზე კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

2.1.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის საგმობრივი კურიკულუმები

მშობელთა კრების ოქმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სამუშაო შეხვედრის ოქმი;

დანართი- კურიკულუმის-განვითარების-მეთოდოლოგია N20-საჯარო;

სტრატეგიული-გეგმა.

დანართი- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა-2023-2024სასწ.წ;

დანართი N1 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;

დანართი-N10 საჯარო სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-23წწ;

დანართი N4 ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;

2.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში შემოთავაზებული დავალებები, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუები აჩვენებს, რომ მოსწავლე აღიარებულია, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური სუბიექტი, ცოდნის კონსტრუირების პროცესის წარმმართველი. საბაზო საფეხურის კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები, რომლებიც შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინტერესებს, მზაობასა და შესაძლებლობებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი შემუშავებული კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ექსპერტთა შეფასებების მიხედვთ, წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, მოცემულია თემები, მუშავდება გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, შესაბამისი ქვეცნებებით, განსაზღვრულია შუალედური მიზნები, კურიკულუმის ჩარჩოებს თან ახლავს რამდენიმე კოპმლექსური დავალება. კათედრის მიერ შერჩეულ დამატებით რესურსებში წარმოდგენილია საინტერსო თვალსაჩინოებები, რომელიც მოსწავლეებისათვის მამოტივირებელია და ხელს უწყობს წინარე ცოდნის გააქტიურებას, მრავალმხრივი უნარების განვითარებას და დამოუკიდებლად ცოდნის აგებას.მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ითვალისწინებენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს.

2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია მიზნობრივი ორიენტირები. თემები, კონტექსტ-მაგალითები (ძირითადი და დამატებითი რესურსები), საგნობრივი საკითხები აჩვენებს მიზნობრივ ნიშნულამდე მისვლის გზებს. ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად სასწავლო პროცესი წარიმართება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. კურიკულუმში შემოთავაზებული დავალებები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაძლებლობას ქმნის. ინტერვიუზე მასწავლებლებმა ისაუბრეს სკოლაში განხორციელებული არაერთი სასწავლო თუ სასკოლო პროექტის შესახებ, რაც ადასტურებს, რომ არის გამოცდილება და მზაობა იმისა, რომ დაიგეგმოს და განხორციელდეს ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფუნქციური უნარების განვითარებს. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს მიემართება ასევე სხვადასხვა საგნებში განხორციელებული პროქტები აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).

2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ, რომ კლასშიი არიან სხვადასხვა მზაობის მოსწავლები და ადგნენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს, ახდენენ აქტივობებისა და დავალებების პროდუქტების ასევე საჭიროების შემთხვევაში შინაარსის მოდიფიცირებას. საგნობრივ კურიკულუმში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც განათლების თანამედროვე პარადიგმების განხორციელების საშუალებას იძლევა, ეს კი თავისთავად გულისხმობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები; მათთან პედაგოგები მუშაობენ ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო გეგმით. საგაკვეთილო პროცესში იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, მათ უნარებსა და შესაძლებლობებს. ამასთანავე, მიმართავენ რემედიაციას. ინტერვიუს შედეგადაც დადგინდა, რომ მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეებს სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროცესში, აკეთებენ ჩანაწერებს და ეს ეხმარება მათ საკუთარი მზაობის დადგენაში, რათა შესაბამისი სირთულის დავალება შესთავაზონ მათ. ასევე, სთავაზობენ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის მომზადებას მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე. აღნიშნულის შესაბამისად საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

2.1.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებული

4. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა ხელმძღვანელობს შეფასების სამკომპონენტიანი მოდელით და ყველა კომპონენტს აქვს თანაბარი წილი. საბზო საფეხურზე მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რომლის დანიშნულებაც მოსწავლის პროგრესის გაზომვაა. განმსაზღვრელი შეფასებით კი ხდება მოსწავლის ცოდნის შეფასება საგნობრივ სტანდარტთან მიმართებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებისთვის. წარმოდგენილ რუბრიკბში ჩანს, რომ მასწავლებლებსგრძელვადიან მიზნებად გააზრებული აქვთ სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. საბაზო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

2.1.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, ასევეე გასაუბრებით დადგინდა, რომ საბაზო საფეხურზე საგნობრივი სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია და მოიცავს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვა/რევიზიის ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას, რაც თავისთავად უზრუნველყოფს ახალი ასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში შედეგების მონიტორინგს, წინარე გამოცდილების ანალიზს და გაუმჯობსების გზების ძიებას.ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს წინა წლებშიც აქვთ განხორციელებული კომპლექსური გაკვეთილები. ისინი ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რათა გააანალიზონ, რომელი კომპლექსური დავალებები იყო მეტად შედეგიანი, რომელმა უფრო მეტი ინტერესი და მოტივაცია გამოიწვია მოსწავლეებში. მასწავლებლები გეგმავენ შეავსონ წარმოდგენილი კურიკულუმები შერჩეული კომპლექსური დავალებებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტშიც განსაზღვრულია, რომ კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით. აქედან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

2.1.2.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

დანართი- კურიკულუმის-განვითარების-მეთოდოლოგია
სტრატეგიული-გეგმა.-სსიპ-ქალაქ-
დანართი- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა-2023-2024სასწ.წ;
დანართი N1 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;
დანართი-N20 საჯარო სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-23წწ;
დანართი N4 ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;
დანართი- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 კურიკულუმის განხორციელება

4.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
7. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
8. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
9. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
10. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტების, სასწავლო პროექტების, კომპლექსური დავალებების პირობების და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალების/აქტივობების გაანალიზებით, მასწავლებლებთან გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმილი კურიკულუმის განხორციელება მასწავლებელს საშუალებას მისცემს მოსწავლე ჩართოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში. საბაზო საფეხურის კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას აძლევს მოსწავლეს, რომ გაეცნოს ახალ ინფორმაციას, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით, იმსჯელოს ლოგიკურად და გააკთოს დასკვნები. მასწავლებლები იაზრებენ სასწავლო პროცსში თავის როლს და გვევლინებიან პროცესის დამგეგმავისა და წამმართველის როლში, ხოლო მოსწავლე არის პროცესის ძირითადი აქტორი. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ეს დასტურდება იმით, რომ კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალება კი თავისი ბუნებით საშუალებას აძლევს მოსწავლეს იფიქროს, იმსჯელოს, გადაჭრას პრობლემები. ასევე, ინტერვიუზე გამოიკვეთა სკოლის მიერ განხორციელებული სხვადასხვა საინტერესო პროექტი, გასვლითი გაკვეთილები მუზეუში. ინტეგრირებული გაკვეთილები, რაც ადასტურებს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში აქტიურ ჩართულობას.

2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმაში დეკლარირებულია, რომ ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. უფრო კონკრეტულად კი კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. აქტივობები ემსახურება წინარე ცოდნის გააქტიურებას და მასზე ახალი ცოდნის დაშენებას. საბაზო საფეხურზე საგნებში სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემების ფარგლებში ასახული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობები ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლისათვის ნაცნობი შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც დინამიური ცოდნის საფუძველს ქმნის. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

2.2.1.2..ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალებების პირობებში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, კერძოდ პრეზენტაციისას მოსწავლეს უწევს რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. შეკითხვები, რომელიც უნდა გაითვალისწინოს მოსწავლემ კომპლექსური დავალების წარდგენისას ასაკობრივი დონის შესაბამისია და მოსწავლეს უწევს გააკეთოს შესრულებული დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა. მასწავლებლები ისეთ აქტივობებსა და დავალებებს სთავაზობენ მოწავლეებს, რომლებიც ეხმარება სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას, ახალისებს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას, ცნობისმოყვარეობას და თვითრეგულირებად სწავლას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საბაზო საფეხურზე ყველა საგანში ხდება მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი. მასწავლებლებს აქვთ მზაობა სხვა მიმდინარე აქტივობების დროსაც წაახალისონ მოსწავლის ფიქრი სწავლის სწავლაზე/მეტაკოგნიციაზე. იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტიანია მისი მცდელობები, რა იქნება თუ შეცვლის სტრატეგიას. ასევე, აპირებენ ხშირად გამოიყენონ თანატოლთა შეფასება და თვითშეფასების რუბრიკები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე.

2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4... სკოლის მიერ წარმოდგრნილ საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებშიში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები მოსწავლეებისგან მოითხოვს როგორც დეკლარატიულ და პროცედურულ, ასევე ფუნქციურ, ქმედებაში გადატანილ ცოდნას. პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა/დასაბუთება რაც პირდაპირ მიემართება ამ თუ იმ საგნის გრძელვადიან მიზნებს.ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები მათ ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურების საშუალებას აძლევს. მოსწავლეები არა მხოლოდ ფაქტობრივ მასალას ეცნობიან და ამუშავებენ, არამედ მიღებული ცოდნის ინსტრუმენტად გამოყენება უწევთ სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ამის პირობას ქმნის. თითოეული კომპლექსური დავალება ეფუძნება ცოდნის სამივე კატეგორიას. შესასწავლი თემები უპირველესად საჭიროებს ტექსტის შინაარსის გაგებას, ანუ მოსწავლისაგან მოითხოვს ფაქტობრივ ცოდნას, ხოლო ტექსტების სიღრმისეული ანალიზი - დაფიქრებასა და პასუხის გაცემას შეკითხვებზე: როგორ გავაკეთო? როგორ შევასრულო? სასწავლო პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიმართულია იქითკენ, რომ მოსწავლეს გამოუმუშავოს უნარები, რომ მიღებული ცოდნა და გამოცდილება პრაქტიკაში გამოიყენოს, დაძლიოს ცხოვრებისეული სირთულეები .

2.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც წარმოადგინა სკოლამ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას აძლევს მასწავლებელს. როგორც ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, კურიკულუმებში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია. მოსწავლე ორიენტირებული ხდება პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდუქციისა ეს კი მისგან მოითხოვს არსებული გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამრიგად, საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

2.2.1.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;

კომპლექსური დავალებების ნიმუშები;

ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;

განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები;

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;

დანართი- კურიკულუმის-განვითარების-მეთოდოლოგია N20-საჯარო;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

7. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
8. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
9. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
10. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
11. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
12. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და სასკოლო სასწავლო გეგმის გაანალიზებით დადგინდა, რომ საბაზო საფეხურზე სკოლაში აქტიურად მუშაობს საგნობრივი კათედრები. კათედრაზე ხდება კურიკულუმებზე მუშაობა და კომპლექსური დავალებების დაგეგმვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე, რომ თემის დამუშავების პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები. ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ქვეცნებები. რელევანტური კავშირი ჩანს სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. კათედრებს აქვს მზაობა აქტიურად გააგრძელოს მუშაობა, დაგეგმოს კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

2.2.2.1.ინდიკატორ დაკმაყოფიილებულია.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, ვინაიდან ის ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. საგნობრივი კრიკულუმის ჩარჩოში შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, კომპლქსური დავალებების პირობები მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე როლს, წარმოადგენს სასწავლო მიზნის მისაღწევად. კურიკულუმებში სთავაზობენ დავალებებს, რომლებშიც გამოწვევებთან გამკლავება უწევთ მოისწავლეებს, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განაპირობებს. შემოქმედებით-შემეცნებითი პროდუქტის შექმნის პროცესში ფაქტების ანალიზი, იდეების გენერირება და ორგანიზება, მოსაზრებების დაცვა, შედარება, დასკვნების გამოტანა, არგუმენტების შეფასება და პრობლემების გადაჭრა უწევთ მოსწავლეებს, ერთმანეთთან თანამშრომლობენ ამ პროცესში და მართავენ თავიანთ სწავლის პროცესს. კომპლექსური დავალებების გარდა, მართავენ სხვადასხვა ღონისძიებას, რომლებიც მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას ემსახურება.არნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნატ, რომ საბაზო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

2.2.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასკოლო სასწავლო გეგმის და საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გააზრებული აქვს მოწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მნიშვნელობა და განმსზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ არის ორიენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, ის პარალელურად მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. მასწავლებლებთა საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი მოსწავლეების შეფასებისას იყენებენ არამარტო შესრულებულ დავალების შეფასების რუბრიკებს არამედ აკვირდებიან მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში, თვალს ადევნებენ მოსწავლეთა სოციალურ უნარებს, თვითრეგულირებად სწავლის პროცესს, დამოუკიდებლობას, აზროვნების პროცესს (ვარაუდის გამოთქმა, ფაქტებისა და არგუმნტების მოძიება და დასაბუთება - სამიზნე ცნებების დაუფლება). ინტერვიუს მიხედვითაც ირკვევა, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილად არის გააზრებული. შეფასების პროცესში აქტიურადაა ჩართული მოსწავლე, რაც მოსწავლის მიერ სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასებას და მის მიერ გააზრებული ნაბიჯების გადადგმას განაპირობებს, ეს კი - მოსწავლის პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს. გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, თუ როგორი მნიშვნელოვანია, მოსწავლემ გაცნობიერებულად მართოს სწავლის პროცესი _ დაგეგმოს, შეაფასოს და მონიტორინგი გაუწიოს, რომ მოსწავლეს გამოუმუშავდეს შეცდომის დანახვისა და გამოსწორების უნარი, გაუჩნდეს წარმატების იმედი. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვანთ, რომ საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

2.2.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.....

4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის (ბრძანება N2-363, 19 სექტემბერი, 2023 წელი) დანერგვის მიზანია, რომ სკოლამ დაადასტუროს შეფასების პროცესის სანდოობა, ვალიდურობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა. ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებების სიზუსტე. შესაძლებლობა, რომ შეფასების ვერიფიკაცია განხორციელდეს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე (მაგ. სემსტრული გამოცდის შემთხვევაში), სკოლის დირექციის ინიციატივით (მაგ. წლიური გამოცდა, დიაგნოსტიკური წერების ჩატარება და მათი ანალიზი მიმდინარეშეფასებებთან) ან გეგმიურად (საგნობრივი კათედრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს) შეფასების სისტემას უფრო გამჭვირვალეს, ვალიდურსა და ობიექტურს ხდის. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების კარგი გამოცდილება აქვთ, მოსწავლეები იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს (მასწავლებლები აცნობენ) და შეესაბამისად უჩნდებათ თანამონაწილეობის, სამართლიანობის განცდა.

2.2.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის (ბრძანება N2-363, 19 სექტემბერი, 2023 წელი), სადაც განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, ვერიფიკაციის პრინციპები, პროცესი და შეფასების ვერიფიკაციის პროცესის განმახორციელებელი პირები. ვერიფიკაცია დაფუძნებული იქნება შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებაზე, შეფასების პროცესის და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული დოკუმენტით სკოლა საბაო საფეხურზე ადასტურებს მზაობას განახორციელოს შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, თუმცა მისი ფუნქციონირება მიდინარე წარმოების ფარგლებში არაა შეფასებადი.

2.2.2.5..ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულებას მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადა განსაზღვრული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით და ის შეადგნს არანაკლებ 3 წელს. სკოლა ახორციელებს შეფასებებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებასა და სათანადო აღრიცხვას და კანონმდებლობის ფარგლებში დადგენილი წესით გამოსცემს ბრძანებებს. სკოლაში ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მათი აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.

2.2.2.6.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 15-შეფასების-სისტემის-ვერიფიკაციის-მექანიზმი N20-საჯარო სკოლა;

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

დანართი- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა

..

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
5. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
6. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვის ფორმულირებიდან ჩანს რომ სკოლა ორინტირებულია მოსწავლეზე, იღებს პასუხისმგებლობას რომ მოსწავლეს მისცეს ისეთი განათლება, რომელიც საშუალებას მისცემს თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში, აღზარდოს პასუხისმგებლიანი, კანონმორჩილი, კონკურენტუნარიანი, უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებული მოქალაქეები. შესაბამისად ცდილობს საბაზო საფეხურზე შექმნას მოსწავლის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლეები სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით მუშაობენ ინკლუზიური განათლების პროგრამაზე, შეიმუშვბენ შესეაბამის კომპლექსურ დავალებებს. ვიზიტისას კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები პოზიტიურ კლიმატს ქმნიან საინტერესო აქტივობებითა და მოსწავლეებთან პოზიტიური დამოკიდებულებით, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებითა და მათი ინიციატივების წახალისებით. დაგეგმილი კომპლექსური დავალებების სათანადოდ განხორციელება პოზიტიური საკლასო კლიმატის შექმნის შესაძლებლობაა, რადგან მათ უწევთ აქტიურ შემეცნებით-შემოქმედებით პროცესებში ჩართვა _ ფაქტების ანალიზი, მოსაზრებების დაცვა, იდეების გენერირება, თანამშრომლობა და ა.შ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების არაერთი მაგალითი გაიხსენეს. სასწავლო პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნას ხელს უწყობს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი, სპორტული ინფრასტრუქტურა და სხვა.

2.2.3.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრასთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლაში საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე, რისთვსაც საგაკვეთილო პროცესში იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ახალ ცოდნას აშენებენ წინარე გამოცდილებაზე და მოსწავლეებს სთავაზობენ ამოცანებს მათთვის ნაცნობი კონტექსტის გათვალისწინებით. მასწავლებლები ცდილობენ სასწავლო პროცესი წარმართონ მოსწავლეზე ორიენტირებულად რისთვისაც გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილების ჩატარებას და თანამედროვე ტექნოლოგიების ჩართვას სასწავლო პროცესში ამის დადასტურებაა ერთის მხრივ მასწავლებლებთან გასაუბრება და მეორეს მხრივ სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმაში ასახული აქტივობები.

2.2.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლაში კათედრები თანამშრომლობენ შეთანხმებულად. საბაზო საფეხურზე ერთობლივად გეგმავენ ამა თუ იმ აქტივობას და მიღებულ შედეგებს უზიარებენ ერთმანეთს, გეგმავენ ხარვეზების აღმოფხვრის გზებს. თანამშრომლობითი პროცესი წარმოადგენს სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს, რაც ზემოთ თქმულთან ერთად, ითვალისწინებს ურთიერთდასწრებებს, ჯანსაღ კრიტიკას და მიმღებლობას. ცხადია, ყოველივე ეს დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე. ცალკეული კათედრა, თავის მხრივ, მუშაობს როგორც ერთიანი გუნდი. მაღალი თანამშრომლობითი კულტურის ნიმუშია სასკოლო პროექტების განხორციელებაზე გუნდური მუშაობა. ამ ეტაპზე მიმდინარე პროექტებზე „პირობითი რეფლექსები“ და „სკოლის კლიმატური გეგმის შედგენა და მზის მაძიებელი სისტემა“ მუშაობს საბუნებისმეტყველო, მათემატიკის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ხელოვნების კათედრები. მასწავლებლები გადიან ლიდერი მასწავლებლის ტრენინგებს. პედაგოგები სისტემატურად ახორციელებენ კოლეგებთან შეხვედრებს და უზიარებენ მათ გამოცდილებას. სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია გამოცდილების გაზიარება და ურთიერთდახმარება, ვინაიდან ეს ხელს უწყობს სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ამაღლებას.

2.2.3.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის პედაგოგებისათვის მნიშვნელოვანია კლასის და სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის შენარჩუნება, შესაბამისად საბაზო საფეხურზე საგაკვეთილო პორცსში ცდილობენ შექმნან მამოტივირებელი, პოზიტიური გარემო რისთვისაც მოსწავლეებს სთავაზობენ დავალებებს მათი ინტრესებიდან გამომდინარე, საგაკვეთილო პროცესში რთავენ ტექნოლოგიებს, დამსახურებულად აქებენ მოსწავლეებს, სასწავლო პროცესს აგებენ მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით. კლასისა და სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას განაპირობებს ასევე მასწავლებლების თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, რაც მოსწავლბისათვის არის კარგი მოდელი. თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლის/კლასის დონეზე თითოეულ მოსწავლეს აქვს საშუალება თავისუფლად გამოთქვას აზრი, რომელსაც პატივისცემით მოუსმენენ. სკოლაში შემუშავებულია კონფლიქტების მართვისა და პრევენციის რეგულაციები. ხორციელდება სხვადასხვა სასწავლო თუ სასკოლო პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს სხვადასხვა საინტერესო აქტივობების განხორციელებას, გუნდურ მუშაობას, თანამშრომლობას, რაც, ასევე, ხელს უწყობს პოზიტიური სასკოლო კლიმატის ჩამოყალიბებას.

2.2.3.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო-სასწავლო გეგმა;

სადამრიგებლო საათის შინაარსი;

სამუშაო შეხვედრების ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საპროექტო და საკლუბო მუშაობის ანგარიშები ;
ინტერვიუს შედეგები
საბაზო საფეხურის საგნობრივი სასკოლო კურიკულუმები;
დანართი- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;.
დანართი N3 შინაგანაწესი;
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვთარების მეთოდოლოგიით ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებებით. გამომდინარე აღნიშნულიდან, სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ საბაზო საფეხურზე განახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას. მიმდინარე წარმოების ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია მონიტორინგი და შეფასება, თუმცა ის უფრო ზოგადი სახისაა. სკოლას მიეცა რჩევა, დააზუსტოს მონიტორინგის ფორმები, ვადები და განმახორციელებელი პირები.

2.3.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.. სკოლის მიერ წარმოდგნილი დოკუმენტაციის, მასწავლებლებთან გასაუბრების და სკოლის არსებული პრაქტიკის ანალიზით გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე მიმდინარე ყველა პროცესი (კათედრების მუშაობა, სასწავლო პროგრამების შემუშავება, საგაკვეთილო პროცესის წარმართვა, მოსწავლეთა შეფასება, კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და სხვა), რომელიც ემსახურება სკოლაში მიმდინარე პროცესების თვალის მიდევნებას, შედეგების ანალიზსა და შეფასებას მიემართება პერსონალისა და მოსწალეთა მხარდაჭერას, შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით მონიტორინგის ერთერთი დანიშნულებაა ასევე სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის).

2.3.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის პროცესში. მასწავლებლები მონიტორინგისა და შეფასების პროცესს უყურებენ როგორც შეცდომების აღმოჩენის საშუალებას კი არა, არამედ ხარვეზების გამოსწორების, შეცდომებზე სწავლის მექანიზმს. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ მასწავლებლები ერთად გეგმავენ, თუ რა ინტერვენციებია გასატარებელი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, კათედრები აუცილებლად უნდა შეიკრიბონ სასწავლო წლის დაწყებამდე. (პირველი სემესტრის დასაწყისში კლასების მიხედვით კომპლექსური დავალებების შერჩევა და განხორციელება, სემესტრის დასასრულს ამ დავალებების მონიტორინგი; მეორე სემესტრის ბოლოს კი ყველა შემაჯამებელი დავალების ანალიზი და მონიტორინგი). კათედრების შეკრება და სხდომებზე ჩატარებული მუშაობის მონიტორინგის შედეგების განხილვა ასევე მიემართება პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრის გზების ძიებას

2.3.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის დაგეგმვისა და შეფასების მეთოდოლოგია;
ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაცემული უკუკავშირი;
საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
დანართი- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

5. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
6. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
7. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
8. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ექსპერტთა შეფასბით, პედაგოგები არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე , საბაზო კურიკულუმის შეფასებისას ეყრდნობიან სხვადასხვა წყაროს. მათ შორის: მოსწავლეთა საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების (განმავითარებელ და/ან განმსაზღვრელ შეფასებებს კლასების მიხედვით) და მოსწავლეთა ჯგუფურ მუშაობაში ჩართულობის შედგებს. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების ჩართულობას და მოტივაციას, რისთვისაც იყენებენ კრიტიკული მგობრის ინსტიტუტს. სემესტრისა და წლის ბოლოს მოსწავლეების შედეგების დინამიკას.საბაზო საფხეურზე შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

2.3.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საბაზო საფხურზე შეფასების განხორციელბისას მასწავლებლები ითვალისწინებენ უპირატესად სტანდარტის შედეგებს, რაც ჩანს მათ მიერ შემუშავებულ შეფასების რუბრიკბში. განმავითარებელი კომენტარის გაკეთებიისას დამატებით ითვალისწინბენ მოსწავლის ემოციურ მხარეს, შესაძლებლობებს, პრიორიტეტულ საჭიროებებს.ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ მასწავლებლები იაზრებენ, რომ არსებობს სხვადასხვა წინაპირობა და ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკრეტულ მოცემულობაზე და სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. აპირებენ, წინასწარ განსაზღვრონ, თუ როგორ მოიპოვონ მოსწავლეების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სრულყოფილი ინფორმაცია. დამრიგებლები სასწავლო წლის ბოლოს წერენ მოსწავლეთა დახასიათებას, რომელიც ასევე, შესაძლოა, გამოყენებული იყოს, როგორც შეფასების წინაპირობა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე სკოლას აქვს მზაობა, შეფასების ფოკუსის განსაზღვრისა, მიზნის შესაბამისად

2.3.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.. მოსწავლის შეფასებისას სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით გამოიყენებ მოსწავლზე დაკვირვება საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო პროცესში, მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, არაფორმალურ აქტივობებში, მოსწავლეთა შეფასების და თვითშეფასების რუბრიკების შედეგები/ანალიზი, მოსწავლეთა ინტრესების კვლევა გამოკითხვით, მშობელთან კომუნიკაციის შედეგები

2.3.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. საბაზო საფეხურზე შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. გათვალისწინებულია სხვადასხვა გარემო ფაქტორები. მშობლებისა და მოსწავლეების პრობლემები, მათი იდენტიფიცირება. დამრიგებლების მიერ ყოველწლიური მოსწავლის დახასიათება ემსახურება მოსწავლის პიროვნული და თვისობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირებას და მათზე დაკვირვებას. შემაჯამებლების ანალიზებიდან და საგნის მასწავლებლის ანგარიშებიდან სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ემსახურება მოსწავლეთა აკადემიური შედეგების იდენტიფიცირებას. სასკოლო საზოგადოება თანხმდება, საბაზო საფეხურზე რომ მოსწავლეზე და მათ სასწავლო გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ სხვადასხვა ფაქტორები. ამიტომ ფიქრობენ, რომ შეფასებისას მოხდეს ამ ფაქტორის გათვალისწინება

2.3.2.4..ინდიკატორი დაკმაყოფილებლია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

დანართი- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად; მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია და ის მოიცავს დემინგის ციკლს: კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია.მონიტორინგისა და შეფასების ნაწილი სწორედ კურკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომნდაციო პაკეტის შემუშავებას ემსახურბა. მიმდინარე წარმოების ფარგლბში, პირველადი ავტორიზაციის პირობებში აღნიშნული ინდიკატორი არაა შეფასებადი თუმცა სკოლის მზაობა იკვეთება

2.4.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხდვით, საბაზო საფეხურზე საგნონრივი კურიკულუმის შემუშავება მოხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების და ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების, სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სკოლა გამოხატავს მზაობას საბაზო საფეხურზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დააფუძნოს წინარე გამოცდილებას და გაითვაისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. მიმდინარე წარმოების (პირვლადი ავტორიზაცია) ფარგლებში ინდიკატორი არაა შეფასებადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი- კურიკულუმის-განვითარების-მეთოდოლოგია

სტრატეგიული-გეგმა.-სსიპ-ქალაქ-

დანართი- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა-2023-2024სასწ.წ;

დანართი N1 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;

დანართი-N10 საჯარო სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-23წწ;

დანართი N4 ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საგანმანათლებლო პროგრამისთვის)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

9. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
10. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
11. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
12. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. მაგალითად, დოკუმენტში განსაზღვრულია, თუ ვინ, როგორ და რატომ არის ჩართული კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში და როგორია კურიკულუმის შემუშავების პროცესი (ვის რა ფუნქცია აქვს; როგორ ხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები) და მისი რეალიზების დრო და სივრცე. სკოლის მიერ წარმოდგნილ დოკუმენტში აღწერილია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის როლი კურიკულუმის შემუშავება/განვითარების პროცესში და შესაბამისად იკვეთება მათი ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობაც. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ საშუაო საფეხურის კურკულუმები შიმუშავა სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებითა და ჩართულობით; საკუთარი გამოცდილებისა და დაკვირვებების შედეგების ანალიზზე დაფუძნებით შეადგინა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტი და გაითვალისწინა მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. კერძოდ, მშობელთა კრებებზე, ანკეტირებითა თუ ვერბალური გამოკითხვით ირკვევა მშობელთა ინტერესები, ვერბალური გამოკითხვით დგინდება მოსწავლეთა საჭიროებები და სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობით ვითარდება სასკოლო კურიკულუმი.ექსპერტებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, მსჯელობენ და თანხმდებიან, რა მეთოდებით იმუშავებენ და რომელ აქტივობებებს განახორციელებენ კლასებში. კურიკულუმში ასევე ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ასევე, მასწავლებლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა.

2.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს საგნობრივ კურიკულუმებსა და თემატურ მატრიცებზე მუშაობის გამოცდილება და ასევე, მათი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მაგალითად, სკოლას ამის დასტურად წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმები. თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, ამასთანავე, მშობლების ჩართულობასა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას. ასევე აღნიშნულია, რომ ისინი აკვირდებიან გაკვეთილებს „კრიტიკული მეგობრის“ სტატუსით და გამოვლენილ წარმატებულ გამოცდილებასა და ხარვეზებს იყენებენ ახალი კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

2.1.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4... სასკოლო კურიკულუმის შედგენის პროცესში თანამშრომლობს მთელი სასკოლო საზოგადოება, რომელსაც წინა წლებში, სასკოლო-სასწავლო გეგმაზე მუშაობისას, შეძენილი აქვს თანამონაწილეობის მნიშვნელოვანი გამოცდილება (მაგალითად, რამდენჯერმე გათვალისწინეს მოსწავლეთა თვითმმართველობის მოთხოვნები სპორტულ თამაშებთან დაკავშირებით). სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს საშუალება, დააკვირდეს კურიკულუმის განხორციელების პროცესს, გამოხატოს საკუთარი თვალსაზრისი და ჩაერთოს მის განახლება-გადახალისებაში. კურიკულუმის განხორციელების პროცესი (შექმნილი პროდუქტები, გამართული ღონისძიებები...) საჯაროვდება თიმსისა და სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში, ასევე საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისათვის. სასკოლო თემის წევრებს შექმნილი პროდუქტის მიმართ მიკუთვნებულობის განცდა აქვთ. აღნიშნულის შესაბამისად საშუალო საფეხურზე კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

2.1.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო საფეხურის საგმობრივი კურიკულუმები

მშობელთა კრების ოქმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სამუშაო შეხვედრის ოქმი;

დანართი- კურიკულუმის-განვითარების-მეთოდოლოგია N20-საჯარო;

სტრატეგიული-გეგმა.

დანართი- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა-2023-2024სასწ.წ;

დანართი N1 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;

დანართი-N10 საჯარო სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-23წწ;

დანართი N4 ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;

2.1.4. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

6. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
7. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
8. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
9. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
10. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში შემოთავაზებული დავალებები, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუები აჩვენებს, რომ მოსწავლე აღიარებულია, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური სუბიექტი, ცოდნის კონსტრუირების პროცესის წარმმართველი. საშუალო საფეხურის კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები, რომლებიც შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინტერესებს, მზაობასა და შესაძლებლობებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი შემუშავებული კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ექსპერტთა შეფასებების მიხედვთ, წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, მოცემულია თემები, მუშავდება გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, შესაბამისი ქვეცნებებით, განსაზღვრულია შუალედური მიზნები, კურიკულუმის ჩარჩოებს თან ახლავს რამდენიმე კოპმლექსური დავალება. კათედრის მიერ შერჩეულ დამატებით რესურსებში წარმოდგენილია საინტერსო თვალსაჩინოებები, რომელიც მოსწავლეებისათვის მამოტივირებელია და ხელს უწყობს წინარე ცოდნის გააქტიურებას, მრავალმხრივი უნარების განვითარებას და დამოუკიდებლად ცოდნის აგებას.მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ითვალისწინებენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს.

2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.. საშუალო საფეხურის საგნნობრივ კურიკულუმში სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია მიზნობრივი ორიენტირები. თემები, კონტექსტ-მაგალითები (ძირითადი და დამატებითი რესურსები), საგნობრივი საკითხები აჩვენებს მიზნობრივ ნიშნულამდე მისვლის გზებს. ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად სასწავლო პროცესი წარიმართება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. კურიკულუმში შემოთავაზებული დავალებები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაძლებლობას ქმნის. ინტერვიუზე მასწავლებლებმა ისაუბრეს სკოლაში განხორციელებული არაერთი სასწავლო თუ სასკოლო პროექტის შესახებ, რაც ადასტურებს, რომ არის გამოცდილება და მზაობა იმისა, რომ დაიგეგმოს და განხორციელდეს ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფუნქციური უნარების განვითარებს. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს მიემართება ასევე სხვადასხვა საგნებში განხორციელებული პროექტები აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).

2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ, რომ კლასშია არიან სხვადასხვა მზაობის მოსწავლები და ადგნენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს, ახდენენ აქტივობებისა და დავალებების პროდუქტების ასევე საჭიროების შემთხვევაში შინაარსის მოდიფიცირებას. საგნობრივ კურიკულუმში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც განათლების თანამედროვე პარადიგმების განხორციელების საშუალებას იძლევა, ეს კი თავისთავად გულისხმობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები; მათთან პედაგოგები მუშაობენ ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო გეგმით. საგაკვეთილო პროცესში იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, მათ უნარებსა და შესაძლებლობებს. ამასთანავე, მიმართავენ რემედიაციას. ინტერვიუს შედეგადაც დადგინდა, რომ მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეებს სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესში, აკეთებენ ჩანაწერებს და ეს ეხმარება მათ საკუთარი მზაობის დადგენაში, რათა შესაბამისი სირთულის დავალება შესთავაზონ მათ. ასევე, სთავაზობენ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის მომზადებას მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე. აღნიშნულის შესაბამისად საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

2.1.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებული

4. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა ხელმძღვანელობს შეფასების სამკომპონენტიანი მოდელით და ყველა კომპონენტს აქვს თანაბარი წილი. საშუალო საფეხურზე მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რომლის დანიშნულებაც მოსწავლის პროგრესის გაზომვაა. განმსაზღვრელი შეფასებით კი ხდება მოსწავლის ცოდნის შეფასება საგნობრივ სტანდარტთან მიმართებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებისთვის. წარმოდგენილ რუბრიკბში ჩანს, რომ მასწავლებლებს გრძელვადიან მიზნებად გააზრებული აქვთ სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. საშუალო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

2.1.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, ასევეე გასაუბრებით დადგინდა, რომ საშუალო საფეხურზე საგნობრივი სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია და მოიცავს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვა/რევიზიის ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას, რაც თავისთავად უზრუნველყოფს ახალი ასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში შედეგების მონიტორინგს, წინარე გამოცდილების ანალიზს და გაუმჯობსების გზების ძიებას.ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს წინა წლებშიც აქვთ განხორციელებული კომპლექსური გაკვეთილები. ისინი ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რათა გააანალიზონ, რომელი კომპლექსური დავალებები იყო მეტად შედეგიანი, რომელმა უფრო მეტი ინტერესი და მოტივაცია გამოიწვია მოსწავლეებში. მასწავლებლები გეგმავენ შეავსონ წარმოდგენილი კურიკულუმები შერჩეული კომპლექსური დავალებებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტშიც განსაზღვრულია, რომ კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით. აქედან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

2.1.2.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

დანართი- კურიკულუმის-განვითარების-მეთოდოლოგია
სტრატეგიული-გეგმა.-სსიპ-ქალაქ-
დანართი- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა-2023-2024სასწ.წ;
დანართი N1 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;
დანართი-N20 საჯარო სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-23წწ;
დანართი N4 ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;
დანართი- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
ინკლუზიური განათლების პროგრამა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის განხორციელება

6.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

11. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
12. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
13. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
14. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
15. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტების, სასწავლო პროექტების, კომპლექსური დავალებების პირობების და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალების/აქტივობების გაანალიზებით, მასწავლებლებთან გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმილი კურიკულუმის განხორციელება მასწავლებელს საშუალებას მისცემს მოსწავლე ჩართოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში.საშუალო საფეხურის კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას აძლევს მოსწავლეს, რომ გაეცნოს ახალ ინფორმაციას, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით, იმსჯელოს ლოგიკურად და გააკთოს დასკვნები. მასწავლებლები იაზრებენ სასწავლო პროცსში თავის როლს და გვევლინებიან პროცესის დამგეგმავისა და წამმართველის როლში, ხოლო მოსწავლე არის პროცესის ძირითადი აქტორი. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ეს დასტურდება იმით, რომ კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალება კი თავისი ბუნებით საშუალებას აძლევს მოსწავლეს იფიქროს, იმსჯელოს, გადაჭრას პრობლემები. ასევე, ინტერვიუზე გამოიკვეთა სკოლის მიერ განხორციელებული სხვადასხვა საინტერესო პროექტი, გასვლითი გაკვეთილები მუზეუში. ინტეგრირებული გაკვეთილები, რაც ადასტურებს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში აქტიურ ჩართულობას.

2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმაში დეკლარირებულია, რომ ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. უფრო კონკრეტულად კი კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. აქტივობები ემსახურება წინარე ცოდნის გააქტიურებას და მასზე ახალი ცოდნის დაშენებას. საშუალო საფეხურზე საგნებში სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემების ფარგლებში ასახული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობები ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც დინამიური ცოდნის საფუძველს ქმნის. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

2.2.1.2..ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალებების პირობებში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, კერძოდ პრეზენტაციისას მოსწავლეს უწევს რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. შეკითხვები, რომელიც უნდა გაითვალისწინოს მოსწავლემ კომპლექსური დავალების წარდგენისას ასაკობრივი დონის შესაბამისია და მოსწავლეს უწევს გააკეთოს შესრულებული დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა. მასწავლებლები ისეთ აქტივობებსა და დავალებებს სთავაზობენ მოსწავლეებს, რომლებიც ეხმარება სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას, ახალისებს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას, ცნობისმოყვარეობას და თვითრეგულირებად სწავლას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურზე ყველა საგანში ხდება მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი. მასწავლებლებს აქვთ მზაობა სხვა მიმდინარე აქტივობების დროსაც წაახალისონ მოსწავლის ფიქრი სწავლის სწავლაზე/მეტაკოგნიციაზე. იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტიანია მისი მცდელობები, რა იქნება თუ შეცვლის სტრატეგიას. ასევე, აპირებენ ხშირად გამოიყენონ თანატოლთა შეფასება და თვითშეფასების რუბრიკები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე.

2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4... სკოლის მიერ წარმოდგრნილ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებშიში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები მოსწავლეებისგან მოითხოვს როგორც დეკლარატიულ და პროცედურულ, ასევე ფუნქციურ, ქმედებაში გადატანილ ცოდნას. პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა/დასაბუთება რაც პირდაპირ მიემართება ამ თუ იმ საგნის გრძელვადიან მიზნებს.ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები მათ ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურების საშუალებას აძლევს. მოსწავლეები არა მხოლოდ ფაქტობრივ მასალას ეცნობიან და ამუშავებენ, არამედ მიღებული ცოდნის ინსტრუმენტად გამოყენება უწევთ სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ამის პირობას ქმნის. თითოეული კომპლექსური დავალება ეფუძნება ცოდნის სამივე კატეგორიას. შესასწავლი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თემები უპირველესად საჭიროებს ტექსტის შინაარსის გაგებას, ანუ მოსწავლისაგან მოითხოვს ფაქტობრივ ცოდნას, ხოლო ტექსტების სიღრმისეული ანალიზი - დაფიქრებასა და პასუხის გაცემას შეკითხვებზე: როგორ გავაკეთო? როგორ შევასრულო? სასწავლო პროცესი მიმართულია იქითკენ, რომ მოსწავლეს გამოუმუშავოს უნარები, რომ მიღებული ცოდნა და გამოცდილება პრაქტიკაში გამოიყენოს, დაძლიოს ცხოვრებისეული სირთულეები .

2.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც წარმოადგინა სკოლამ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას აძლევს მასწავლებელს. როგორც ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, კურიკულუმებში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია. მოსწავლე ორიენტირებული ხდება პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდუქციისა ეს კი მისგან მოითხოვს არსებული გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამრიგად, საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

2.2.1.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;

კომპლექსური დავალებების ნიმუშები;

ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;

განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები;

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;

დანართი- კურიკულუმის-განვითარების-მეთოდოლოგია N20-საჯარო;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

13. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
14. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
15. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
16. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
17. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
18. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და სასკოლო სასწავლო გეგმის გაანალიზებით დადგინდა, რომ საშუალო საფეხურზე სკოლაში აქტიურად მუშაობს საგნობრივი კათედრები. კათედრაზე ხდება კურიკულუმებზე მუშაობა და კომპლექსური დავალებების დაგეგმვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე, რომ თემის დამუშავების პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები. ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ქვეცნებები. რელევანტური კავშირი ჩანს სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. კათედრებს აქვს მზაობა აქტიურად გააგრძელოს მუშაობა, დაგეგმოს კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

2.2.2.1.ინდიკატორ დაკმაყოფიილებულია.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, ვინაიდან ის ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. საგნობრივი კრიკულუმის ჩარჩოში შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, კომპლქსური დავალებების პირობები მასწავლებლის რჩევები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე როლს, წარმოადგენს სასწავლო მიზნის მისაღწევად. კურიკულუმებში სთავაზობენ დავალებებს, რომლებშიც გამოწვევებთან გამკლავება უწევთ მოისწავლეებს, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. შემოქმედებით-შემეცნებითი პროდუქტის შექმნის პროცესში ფაქტების ანალიზი, იდეების გენერირება და ორგანიზება, მოსაზრებების დაცვა, შედარება, დასკვნების გამოტანა, არგუმენტების შეფასება და პრობლემების გადაჭრა უწევთ მოსწავლეებს, ერთმანეთთან თანამშრომლობენ ამ პროცესში და მართავენ თავიანთ სწავლის პროცესს. კომპლექსური დავალებების გარდა, მართავენ სხვადასხვა ღონისძიებას, რომლებიც მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას ემსახურება.არნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნატ, რომ საშუალო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

2.2.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასკოლო სასწავლო გეგმის და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გააზრებული აქვს მოწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მნიშვნელობა და განმსზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ არის ორიენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, ის პარალელურად მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. მასწავლებლებთა საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი მოსწავლეების შეფასებისას იყენებენ არამარტო შესრულებულ დავალების შეფასების რუბრიკებს არამედ აკვირდებიან მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში, თვალს ადევნებენ მოსწავლეთა სოციალურ უნარებს, თვითრეგულირებად სწავლის პროცესს, დამოუკიდებლობას, აზროვნების პროცესს (ვარაუდის გამოთქმა, ფაქტებისა და არგუმნტების მოძიება და დასაბუთება - სამიზნე ცნებების დაუფლება). ინტერვიუსმიხედვითაც ირკვევა, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილად არის გააზრებული. შეფასების პროცესში აქტიურადაა ჩართული მოსწავლე, რაც მოსწავლის მიერ სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასებას და მის მიერ გააზრებული ნაბიჯების გადადგმას განაპირობებს, ეს კი - მოსწავლის პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს. გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, თუ როგორი მნიშვნელოვანია, მოსწავლემ გაცნობიერებულად მართოს სწავლის პროცესი _ დაგეგმოს, შეაფასოს და მონიტორინგი გაუწიოს, რომ მოსწავლეს გამოუმუშავდეს შეცდომის დანახვისა და გამოსწორების უნარი, გაუჩნდეს წარმატების იმედი. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვანთ, რომ საშუალო საფეხურზე შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

2.2.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.....

4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის (ბრძანება N2-363, 19 სექტემბერი, 2023 წელი) დანერგვის მიზანია, რომ სკოლამ დაადასტუროს შეფასების პროცესის სანდოობა, ვალიდურობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა. ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებების სიზუსტე. შესაძლებლობა, რომ შეფასების ვერიფიკაცია განხორციელდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე (მაგ. სემსტრული გამოცდის შემთხვევაში), სკოლის დირექციის ინიციატივით (მაგ. წლიურიგამოცდა, დიაგნოსტიკური წერების ჩატარება და მათი ანალიზი მიმდინარეშეფასებებთან) ან გეგმიურად (საგნობრივი კათედრის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს) შეფასების სისტმას უფრო გამჭვირვალეს, ვალიდურსა და ობიექტურს ხდის. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების კარგი გამოცდილება აქვთ, მოსწავლეები იცნობენ შეფასების კრიტრიუმებს (მასწავლებლები აცნობენ) და შეესაბამისად უჩნდებათ თანამონაწილეობის, სამართლიანობის განცდა.

2.2.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის (ბრძანება N2-363, 19 სექტემბერი, 2023 წელი), სადაც განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, ვერიფიკაციის პრინციპები, პროცესი და შეფასების ვერიფიკაციის პროცესის განმახორციელებელი პირები. ვერიფიკაცია დაფუძნებული იქნება შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებაზე, შეფასების პროცესის და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული დოკუმენტით სკოლა საშუალო საფეხურზე ადასტურებს მზაობას განახორციელოს შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, თუმცა მისი ფუნქციონირება მიდინარე წარმოების ფარგლებში არაა შეფასებადი.

2.2.2.5..ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულებას მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადა განსაზღვრული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით და ის შეადგნს არანაკლებ 3 წელს. სკოლა ახორციელებს შეფასებებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებასა და სათანადო აღრიცხვას და კანონმდებლობის ფარგლებში დადგენილი წესით გამოსცემს ბრძანებებს. სკოლაში ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მათი აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.

2.2.2.6.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 15-შეფასების-სისტემის-ვერიფიკაციის-მექანიზმი N20-საჯარო სკოლა;

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

დანართი- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა

..

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
7. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
8. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვის ფორმულირებიდან ჩანს რომ სკოლა ორინტირებულია მოსწავლეზე, იღებს პასუხისმგებლობას რომ მოსწავლეს მისცეს ისეთი განათლება, რომელიც საშუალებას მისცემს თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში, აღზარდოს პასუხისმგებლიანი, კანონმორჩილი, კონკურენტუნარიანი, უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებული მოქალაქეები. შესაბამისად ცდილობს საშუალო საფეხურზე შექმნას მოსწავლის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლეები სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით მუშაობენ ინკლუზიური განათლების პროგრამაზე, შეიმუშვბენ შესეაბამის კომპლექსურ დავალებებს. ვიზიტისას კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები პოზიტიურ კლიმატს ქმნიან საინტერესო აქტივობებითა და მოსწავლეებთან პოზიტიური დამოკიდებულებით, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებითა და მათი ინიციატივების წახალისებით. დაგეგმილი კომპლექსური დავალებების სათანადოდ განხორციელება პოზიტიური საკლასო კლიმატის შექმნის შესაძლებლობაა, რადგან მათ უწევთ აქტიურ შემეცნებით-შემოქმედებით პროცესებში ჩართვა _ ფაქტების ანალიზი, მოსაზრებების დაცვა, იდეების გენერირება, თანამშრომლობა და ა.შ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების არაერთი მაგალითი გაიხსენეს. სასწავლო პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნას ხელს უწყობს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი, სპორტული ინფრასტრუქტურა და სხვა.

2.2.3.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრასთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლაში საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე, რისთვსაც საგაკვეთილო პროცესში იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ახალ ცოდნას აშენებენ წინარე გამოცდილებაზე და მოსწავლეებს სთავაზობენ ამოცანებს მათთვის ნაცნობი კონტექსტის გათვალისწინებით. მასწავლებლები ცდილობენ სასწავლო პროცესი წარმართონ მოსწავლეზე ორიენტირებულად რისთვისაც გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილების ჩატარებას და თანამედროვე ტექნოლოგიების ჩართვას სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესში ამის დადასტურებაა ერთის მხრივ მასწავლებლებთან გასაუბრება და მეორეს მხრივ სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმაში ასახული აქტივობები.

2.2.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში კათედრები თანამშრომლობენ შეთანხმებულად. საშუალო საფეხურზე ერთობლივად გეგმავენ ამა თუ იმ აქტივობას და მიღებულ შედეგებს უზიარებენ ერთმანეთს, გეგმავენ ხარვეზების აღმოფხვრის გზებს. თანამშრომლობითი პროცესი წარმოადგენს სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს, რაც ზემოთ თქმულთან ერთად, ითვალისწინებს ურთიერთდასწრებებს, ჯანსაღ კრიტიკას და მიმღებლობას. ცხადია, ყოველივე ეს დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე. ცალკეული კათედრა, თავის მხრივ, მუშაობს როგორც ერთიანი გუნდი. მაღალი თანამშრომლობითი კულტურის ნიმუშია სასკოლო პროექტების განხორციელებაზე გუნდური მუშაობა. მასწავლებლები გადიან ლიდერი მასწავლებლის ტრენინგებს. პედაგოგები სისტემატურად ახორციელებენ კოლეგებთან შეხვედრებს და უზიარებენ მათ გამოცდილებას. სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია გამოცდილების გაზიარება და ურთიერთდახმარება, ვინაიდან ეს ხელს უწყობს სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ამაღლებას.

2.2.3.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის პედაგოგებისათვის მნიშვნელოვანია კლასის და სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის შენარჩუნება, შესაბამისად საშუალო საფეხურზე საგაკვეთილო პორცსში ცდილობენ შექმნან მამოტივირებელი, პოზიტიური გარემო რისთვისაც მოსწავლეებს სთავაზობენ დავალებებს მათი ინტრესებიდან გამომდინარე, საგაკვეთილო პროცესში რთავენ ტექნოლოგიებს, დამსახურებულად აქებენ მოსწავლეებს, სასწავლო პროცესს აგებენ მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით. კლასისა და სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას განაპირობებს ასევე მასწავლებლების თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, რაც მოსწავლბისათვის არის კარგი მოდელი. თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლის/კლასის დონეზე თითოეულ მოსწავლეს აქვს საშუალება თავისუფლად გამოთქვას აზრი, რომელსაც პატივისცემით მოუსმენენ. სკოლაში შემუშავებულია კონფლიქტების მართვისა და პრევენციის რეგულაციები. ხორციელდება სხვადასხვა სასწავლო თუ სასკოლო პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს სხვადასხვა საინტერესო აქტივობების განხორციელებას, გუნდურ მუშაობას, თანამშრომლობას, რაც, ასევე, ხელს უწყობს პოზიტიური სასკოლო კლიმატის ჩამოყალიბებას.

2.2.3.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო-სასწავლო გეგმა;

სადამრიგებლო საათის შინაარსი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სამუშაო შეხვედრების ოქმები;
საპროექტო და საკლუბო მუშაობის ანგარიშები ;
ინტერვიუს შედეგები
საშუალო საფეხურის საგნობრივი სასკოლო კურიკულუმები;
დანართი- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;.
დანართი N3 შინაგანაწესი;
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

7. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
8. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
9. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვთარების მეთოდოლოგიით ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებებით. გამომდინარე აღნიშნულიდან, სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ საშუალო საფეხურზე განახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას. მიმდინარე წარმოების ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია მონიტორინგი და შეფასება, თუმცა ის უფრო ზოგადი სახისაა. სკოლას მიეცა რჩევა, დააზუსტოს მონიტორინგის ფორმები, ვადები და განმახორცილებელი პირები.

2.3.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.. სკოლის მიერ წარმოდგნილი დოკუმენტაციის, მასწავლებლებთან გასაუბრების და სკოლის არსებული პრაქტიკის ანალიზით გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე მიმდინარე ყველა პროცესი (კათედრების მუშაობა, სასწავლო პროგრამების შემუშავება, საგაკვეთილო პროცესის წარმართვა, მოსწავლეთა შეფასება, კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და სხვა), რომელიც ემსახურება სკოლაში მიმდინარე პროცესების თვალის მიდევნებას, შედეგების ანალიზსა და შეფასებას მიემართება პერსონალისა და მოსწალეთა მხარდაჭერას, შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით მონიტორინგის ერთერთი დანიშნულებაა ასევე სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის).

2.3.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის პროცესში. მასწავლებლები მონიტორინგისა და შეფასების პროცესს უყურებენ როგორც შეცდომების აღმოჩენის საშუალებას კი არა, არამედ ხარვეზების გამოსწორების, შეცდომებზე სწავლის მექანიზმს. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ მასწავლებლები ერთად გეგმავენ, თუ რა ინტერვენციებია გასატარებელი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, კათედრები აუცილებლად უნდა შეიკრიბონ სასწავლო წლის დაწყებამდე. (პირველი სემესტრის დასაწყისში კლასების მიხედვით კომპლექსური დავალებების შერჩევა და განხორციელება, სემესტრის დასასრულს ამ დავალებების მონიტორინგი; მეორე სემესტრის ბოლოს კი ყველა შემაჯამებელი დავალების ანალიზი და მონიტორინგი). კათედრების შეკრება და სხდომებზე ჩატარებული მუშაობის მონიტორინგის შედეგების განხილვა ასევე მიემართება პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრის გზების ძიებას

2.3.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის დაგეგმვისა და შეფასების მეთოდოლოგია;
ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაცემული უკუკავშირი;
საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
დანართი- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

9. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
10. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
11. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
12. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ექსპერტთა შეფასბით, პედაგოგები არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე საშუალო კურიკულუმის შეფასებისას ეყრდნობიან სხვადასხვა წყაროს. მათ შორის: მოსწავლეთა საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების (განმავითარებელ და/ან განმსაზღვრელ შეფასებებს კლასების მიხედვით) და მოსწავლეთა ჯგუფურ მუშაობაში ჩართულობის შედგებს. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების ჩართულობას და მოტივაციას, რისთვისაც იყენებენ კრიტიკული მგობრის ინსტიტუტს. სემესტრისა და წლის ბოლოს მოსწავლეების შედეგების დინამიკას.საშუალო საფხეურზე შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

2.3.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საშუალო საფხურზე შეფასების განხორციელბისას მასწავლებლები ითვალისწინებენ უპირატესად სტანდარტის შედეგებს, რაც ჩანს მათ მიერ შემუშავებულ შეფასების რუბრიკბში. განმავითარებელი კომენტარის გაკეთებიისას დამატებით ითვალისწინბენ მოსწავლის ემოციურ მხარეს, შესაძლებლობებს, პრიორიტეტულ საჭიროებებს.ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ მასწავლებლები იაზრებენ, რომ არსებობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სხვადასხვა წინაპირობა და ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკრეტულ მოცემულობაზე და სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. აპირებენ, წინასწარ განსაზღვრონ, თუ როგორ მოიპოვონ მოსწავლეების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია. დამრიგებლები სასწავლო წლის ბოლოს წერენ მოსწავლეთა დახასიათებას, რომელიც ასევე, შესაძლოა, გამოყენებული იყოს, როგორც შეფასების წინაპირობა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე სკოლას აქვს მზაობა, შეფასების ფოკუსის განსაზღვრისა, მიზნის შესაბამისად.

2.3.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.. მოსწავლის შეფასებისას სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით გამოიყენება მოსწავლზე დაკვირვება საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო პროცესში, მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, არაფორმალურ აქტივობებში, მოსწავლეთა შეფასების და თვითშეფასების რუბრიკების შედეგები/ანალიზი, მოსწავლეთა ინტრესების კვლევა გამოკითხვით, მშობელთან კომუნიკაციის შედეგები

2.3.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. საშუალო საფეხურზე შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. გათვალისწინებულია სხვადასხვა გარემო ფაქტორები. მშობლებისა და მოსწავლეების პრობლემები, მათი იდენტიფიცირება. დამრიგებლების მიერ ყოველწლიური მოსწავლის დახასიათება ემსახურება მოსწავლის პიროვნული და თვისობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირებას და მათზე დაკვირვებას. შემაჯამებლების ანალიზებიდან და საგნის მასწავლებლის ანგარიშებიდან სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ემსახურება მოსწავლეთა აკადემიური შედეგების იდენტიფიცირებას. სასკოლო საზოგადოება თანხმდება, საშუალო საფეხურზე რომ მოსწავლეზე და მათ სასწავლო გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ სხვადასხვა ფაქტორები. ამიტომ ფიქრობენ, რომ შეფასებისას მოხდეს ამ ფაქტორის გათვალისწინება

2.3.2.4..ინდიკატორი დაკმაყოფილებლია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

კურიკულუმის დაგეგმვისა და შეფასების მეთოდოლოგია;

ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაცემული უკუკავშირი;

დანართი- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

5. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
6. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად; მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია და ის მოიცავს დემინგის ციკლს: კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია.მონიტორინგისა და შეფასების ნაწილი სწორედ კურკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომნდაციო პაკეტის შემუშავებას ემსახურბა. მიმდინარე წარმოების ფარგლბში, პირველადი ავტორიზაციის პირობებში აღნიშნული ინდიკატორი არაა შეფასებადი თუმცა სკოლის მზაობა იკვეთება

2.4.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხდვით, საშუალო საფეხურზე საგნონრივი კურიკულუმის შემუშავება მოხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების და ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების, სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე მიღებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სკოლა გამოხატავს მზაობას საბაზო საფეხურზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დააფუძნოს წინარე გამოცდილებას და გაითვაისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. მიმდინარე წარმოების (პირვლადი ავტორიზაცია) ფარგლებში ინდიკატორი არაა შეფასებადი

2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო-სასწავლო გეგმა;
კათედრების ოქმები;
დამრიგებლების ანგარიშები;
ინტერვიუს შედეგები;
დანართი- დაწყებითი საფეხური, მათემატიკა- სასკოლო კურიკულუმები;
დანართი- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
დანართი N2 სასკოლო სასწავლო გეგმა;.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

.....
.....

20.11.2023
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---